






## გიორგი გოგოლეაზვილი დეკანოზი კონსტანტინე (გიორგაძე)

„დედანა“

ქართული საანბანე სახელმძღვანელოს  
შედგენის იაკობ გოგებაშვილის ეული მეთოდი  
არამატერიალური კულტურული  
მემკვიდრეობის ეროვნული მეცნი



## გამომცემლობა „დედაენა“ თბილისი – 2018

UDC(უაგ)821.353.1.09 + 811.353.1.09  
გ-611

ამ წიგნიდან თქვენ მიიღებთ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ  
რას წარმოადგენს „დედაენა“ (საანბანე სახელმძღვანელოს შედგე-  
ნის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდი)... რატომ უნდა ვიამაყოთ ამ  
წიგნითა და მისი ავტორით!.. და სხვა...

რედაქტორი:  
**ავთანდილ არაბული**

საგამომცემლო ჯგუფი:  
**ციცინო კვანტალიანი**  
**ხათუნა ყანდაშვილი**  
**რიტა ჭავაიანი**

ტიპოგრაფიკა:  
**პაატა მამფორია**

გარეკანი:  
**ნინო ებრალიძისა**

**წიგნი დაიბეჭდა**  
**თეიმურაზ და თამაზ (თეოდორე) მენთეშაშვილების**  
**მეოხებით**

© გამომცემლობა „დედაენა“  
© გიორგი გოგოლაშვილი, დეკანოზი კონსტანტინე (გიორგაძე)

ISBN 978-9941-27 844-0


## ტინასიტყვა

„დედაენა“ — ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდი — **არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული ძეგლია!** ეს ძეგლი არის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი (როგორც უწოდებენ, ელემენტი) იუნესკოს მიერ კაცობრიობის არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობად აღიარებული, მსოფლიოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში შეტანილი ნომინაციისა — „ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა“.

\* \* \*

რა არის არსი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობისა (აკმ)? როგორ უნდა დავიცვათ აკმ-ის ძეგლი? რას წარმოადგენს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული ძეგლი „დედაენა“ — ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდი? როგორ უნდა მოხდეს ამ ეროვნული ძეგლის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფა?...

— ეს ის საკითხებია, რომლის თაობაზეც გვინდა ვისაუბროთ ამ წიგნში.



## არსი არამატერიალური კულტურული ეკონომიკური მდგრადი

კულტურული მემკვიდრეობის ორი სახეობა არსებობს — მატერიალური კულტურული მემკვიდრეობა (მკმ) და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა (აკმ). არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა ოფიციალური ორგანიზებული ზრუნვის საგანი XXI საუკუნეში ხდება. გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციამ — იუნესკომ (UNESCO) — 2003 წელს მიიღო კონვენცია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ. კონვენცია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ცნებას ასე განმარტავს: ეს არის „საზოგადოების ცალკეული ჯგუფებისა და ზოგიერთ შემთხვევაში კერძო პირების მიერ მათი კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად აღიარებული ადათ-წესები, წარმოდგენისა და გამოსახვის ფორმები, ცოდნა და ჩვევები, ასევე მათთან დაკავშირებული ინსტრუმენტები, საგნები, არტეფაქტები და კულტურული სივრცეები“.

იუნესკო განსაზღვრავს იმ სფეროებს, რომლებშიც ვლინდება არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა; ეს სფეროებია:

- ზეპირი ტრადიციები და გამოხატვის ფორმები;
- საშემსრულებლო ხელოვნება;
- საზოგადოებრივი პრაქტიკა;
- გარესამყაროსთან დაკავშირებული გამოცდილება;
- ხელოსნობის დარგები და ტექნიკები.

„დედაენა“ — ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდი — სწორედ საზოგადოებრივი პრაქტიკის სფეროს განეკუთვნება.

**შევნიშნავთ:** იუნესკოს კონვენცია არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობას განიხილავს, როგორც „კულტურული მრავალფეროვნებისა და მისი მდგრადი განვითარების წყაროს“. დღე-

ისათვის ამ კონვენციას მიერთებულია მსოფლიოს 200-ზე მეტი ქვეყანა.

2005 წელს იუნესკომ მიიღო ახალი კონვენცია: „კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ“, რომელიც უმთავრეს ყურადღებას ამახვილებს განსაკუთრებით საფრთხის ქვეშ მყოფი კულტურული ფასეულობების დაცვაზე.

ჩვენც იმიტომ მივაპყრობთ ყურადღებას ამ ფაქტს, რომ მიგვაჩინია — არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი „დედაენა“ (ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდი) არის გარკვეული საფრთხის წინაშე.

შევნიშნავთ იმასაც, რომ ცალკეულ ქვეყნებში გაქრობის საშიშროების ქვეშ მყოფი ელემენტის დასაცავად იქმნება სპეციალური კომიტეტები, რომლებიც შეიმუშავებენ ელემენტის დაცვის ღონისძიებებს; ამ შემთხვევაში დაცვის პასუხისმგებლობა თანაბრად არის გადანაწილებული ადგილობრივ საჯარო სამსახურებსა და უმაღლეს მმართველობით ორგანოებს შორის.

ჩვენ ამ კონვენციიდან კიდევ ერთ ფაქტზე შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას: იუნესკო თვლის, რომ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის „დაცვა ნიშნავს მისი სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით იდენტიფიკაციას, დოკუმენტირებას, კვლევას, შენახვას, პოპულარიზაციას, ფორმალური და არაფორმალური განათლების მეშვეობით გადაცემას, აგრეთვე ასეთი მემკვიდრეობის სხვადასხვა ასპექტის აღორძინებას“. სწორედ ამას ვგულისხმობთ, როცა ვსაუბრობთ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის, „დედაენის“ (ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდის) შესახებ.

კონვენციები ავალდებულებს მასთან მიერთებულ სახელმწიფოებს „ფუნდამენტური მნიშვნელობის საკითხების ახლებურ

გააზრებას, მყარი პოლიტიკური პოზიციის ჩამოყალიბებას, არა-მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ინტერესების გათვალისწინებასა და გარკვეული სახელმწიფო რეგულაციების შემუშავებას“.

\* \* \*

იუნესკოს კონვენციას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველო შეუერთდა 2007 წელს, ხოლო ძეგლის სტატუსის მინიჭება დაიწყო 2011 წელს; მანამდე, როგორც ჩანს, გვარდებოდა საკანონმდებლო და ორგანიზაციული საკითხები...

სწორედ 2007 წელს მიმართა იაკობ გოგებაშვილის საზოგადოებამ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, „დედაენისათვის“ (ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდისათვის) მიენიჭებინა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი. მთელი რიგი ფორმალური თუ არაფორმალური, ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო „დედაენისათვის“ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მინიჭების საკითხი 2013 წლამდე არ განხილულა...

**2013 წლის 12 მარტს** საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის გურამ ოდიშარიას ბრძანებით (№ 03/43), „**დედაენას**“ — ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეულ მეთოდს — **მიენიჭა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.**

ამავე ბრძანებით ეთხოვა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს, მთავრობისათვის წარედგინა დასკვნა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ამ ძეგლისათვის ეროვნული კატეგორიის მინიჭების თაობაზე. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ მოამზადა შესაბამისი დასკვნა, რომელიც წარედგინა საქართველოს მთავრობას.

**2014 წლის 14 აპრილს** პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა გამოსცა **დადგენილება** (№ 295), რომლის მიხედვითაც არა-მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს „**დედაენას**“ — ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეულ მეთოდს“ **განესაზღვრა ეროვნული მნიშვნელობის კატეგორია.**

**მნიშვნელოვანი სტატისტიკა:** დღეისათვის საქართველოში არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მინიჭებული აქვს 37 ელემენტს; ამათგან ეროვნული ძეგლის სტატუსი — **ხუთს:**

ქართული პოლიფონია (2011 წ.)

ქვევრის ლვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდი (2012);

„**დედაენა**“ — საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდი (2014);

ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა (2015);

ქართული ჭიდაობა (2017).

**მოვლენათა ქრონოლოგისათვის:** 2014 წელს იაკობ გოგებაშვილის საზოგადოებამ არნ. ჩიქობაგას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტთან ერთად ინიციატივით მიმართა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, ქართული ანბანის სამი უძველესი სახეობის ცოცხალი კულტურისათვის მიენიჭებინა არა-მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი; მომზადდა საამისო დოკუმენტაცია. **2015 წელს „ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალ კულტურას“** მიენიჭა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი და განესაზღვრა ეროვნული კატეგორია. იმავე წელს „ქართული ანბანის სახეობის ცოცხალი კულტურა“ წარდგენილი იქნა იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში ნომინირებისათვის.

2016 წლის 30 ნოემბერს იუნისკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამთავრობათშორისო კომიტეტმა მე-11 სესიაზე ადის-აბებაში (ეთიოპია) „ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა“ **კაცობრიობის არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობად** აღიარა და შეიტანა **მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით** ნუსხაში (უფრო ადრე საქართველოდან ამ ნუსხაში წარმოდგენილი იყო მხოლოდ ორი ნომინაცია — „ქართული პოლიფონია“ და „ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდი“). საგულისხმოა ის ფაქტი, რომ **„დედაენა“ — საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდი** არის მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში შეტანილი ნომინაციის — „ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურის“ ერთ-ერთი **ძირითადი შემადგენელი ელემენტი**.

#### ლიტერატურა

საქართველოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის გზამკვლევი, თბილისი, 2016 (საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გამოცემა);


ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა, თბილისი, 2016 (საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გამოცემა);

**ა) ია („დედაენა“ — საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდი — არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული ძეგლი), თბილისი, 2014 (საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გამოცემა).**

## როგორ შეიძმნა „დედაენა“

„შეიძლება თამამად ითქვას, რომ „დედა-ენის“ შექმნა თავისი მნიშვნელობით უტოლ-დება ყველაზე დიდ წვლილს, რომელიც რო-მელიმე ჩვენს წინაპარს შეუტანია ჩვენი ერის სულიერ საგანძურში“.

### გრიგოლ აბაშიძე



იაკობ გოგებაშვილმა ქართული ენის საანბანე სახელმძღვანელო „დედაენა“ გა-მოსცა 1876 წელს.

1876 წლამდე, სანამ „დედაენა“ გამოი-ცემოდა, ქართული საზოგადოება საანბანე წიგნების ნაკლებობას არ განიცდიდა. უკ-ვე არსებობდა რამდენიმე საანბანე სახელ-მძღვანელო:

სულხან-საბა ორბელიანისა — „ანბანი პირველად სასწავ-ლო ყრმათათვის“ (ხელნაწერი).

თეოფანე პროკოპოვიჩისა — „პირველი სასწავლო ყრმა-თა“ (რუსულიდან თარგმნა გაბრიელ ჩხეიძემ; ჩაასწორა არქიმან-დრიტმა გერმანემ) — 1739 წ.

გაიოზ რექტორისა — „ქართული ანბანი“ — 1797 წ.

ტარასი მღვდელ-მონაზონისა — „ქართული ანბანი სას-წავლებლად ყრმათა ხუცურისა და მხედრულისა“ — 1838 წ.

მ. მაქსიმოვიჩისა — „ყრმათა მეგობარი“ (რუსულიდან თარგმნა ივანე კერესელიძემ) — 1852 წ.

ივანე კერესელიძისა — „ანბანი ახალ მოჰსნავლეთა ყრმა-თათვის“ — 1862 წ.

სერგეი მდივანოვისა — „ანბანი ქართული შედგენილი და ახლადგამოცემული სერგეი მდივანოვისაგან“ — 1863 წ.

დ. ფურცელაძისა — „ქართული ანბანი და წიგნი საკითხა-ვად მდაბიო ხალხისათვის“ — 1863 წ.


პეტრე უმიკაშვილისა — „ქართული ანბანი“ — 1864 წ.

რაფიელ ისარლიშვილისა — „პირველი წიგნი წერა-კით-ხვის სასწავლებლად“ — 1875 წ.

ლუკა ჩომახიძისა — „ქართული ანბანი“ — 1875 წ.

ანთიმოზ ჯულელისა — „ყმაწვილის სარკე, ანუ წერა-კით-ხვის სასწავლო წიგნი“ — 1875 წ.

(1897 წელს გამოივიდა აღ. ნათაძის „ბავშვის მოკეთე, ანუ პირველი საკითხავი წიგნი სკოლებში სახმარებლად“).



იაკობ გოგებაშვილი, ცხა-დია, ამ სახელმძღვანელოებს იცნობს, მაგრამ როგორც ჩანს, არ მოსწონს ისინი... ვერ აკმაყოფილებს მის პედაგოგიკურ ინტერესებს და ქმნის ახალს — „დედა ენას!“ თუმცა მანამდე „დედაენისათვის“ მოსამზადებელ ეტა-პად უნდა მივიჩნიოთ 1865 წელს გამოცემული საანბანე სახელმძღვანელო — „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი“, რომელიც იაკობმა სრულიად ახალგაზრდამ (25 წლისამ) შეადგინა.

პედაგოგიკის სპეციალისტები მიუთითებენ, რომ იაკობის მიერ შედგენილი „ქართული ანბანი“ ბევრით აღემატებოდა იმუამად არსებულ საანბანე წიგნებს. სწორედ ამ წიგნის თაობაზე თქვა პროფ. ვალერიან რამიშვილმა:

„წერა-კითხვისა და, საერთოდ, ქართული ენის სწავლება ამ წიგნის მიხედვით დაეფუძნა შეგნებულობის, მისაწვდომობის, თვალსაჩინობის, აქტივობისა და სისტემატურობის დიდაქტიკურ პრინციპებს; ნაცნობიდან უცნობზე, ადვილიდან ძნელზე, მარტივიდან რთულზე თანდათანობით გადასვლის წესებს. ამგვარი სწავლების სიტემის შემოღება იმ დროისათვის დიდი ნოვატორობა იყო და ქართული პედაგოგიკური აზროვნების ისტორიაში რევოლუციას უდრიდაო“. დიახ, ეს შეფასება XX საუკუნის შუა ხანებში ითქვა საუკუნის წინათ შექმნილ სახელმძღვანელოზე...

უფრო ადრე მწერალი წიკო ლომოური წერდა: „იაკობის წიგნაკი, როგორც მეთოდით, ისე მასალით დაშორებითა სჯობდა სხვა ანბანებს, რომლებიც იხმარებოდნენ მაშინდელ ქართველ საზოგადოებაშიო“...

იაკობის პირველმა საანბანე წიგნმა ფაქტობრივ ასპარეზიდან განდევნა მისი უსუსური კონკურენტები, მაგრამ ეს არ იყო ჯერ „დედაენა“... „დედაენის“ შექმნაზე იაკობი 10 წელი ფიქრობდა...

დაუცხრომელი ფიქრი, ძიება, შრომა და... 1876 წელს გამოდის კიდეც „დედაენა“ — მწვერვალი ქართული პედაგოგიკური აზროვნებისა!

\* \* \*

ორიოდე სიტყვა წიგნის სახელწოდებაზე — „დედა ენა“.

**შენიშვნა:** წიგნის სახელწოდებას იაკობი ცალ-ცალკე წერდა — „დედა ენა“; კრიტიკულ-პუბლიცისტურ წერილებში დეფიზსაც გამოიყენებდა — „დედა-ენა“; დღევანდელი ნორმებით ერთად იწერება — „დედაენა“.

1876 წლის გამოცემას ასე ეწერა — „დედა ენა — ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი“. ამ გამოცემაში „დედა ენა“-ს განმარტება დასჭირდა; გასაგებია: ეგ ტერმინი უცხო იყო იმდროინ-დელი მკითხველისათვის და იმიტომ. „უცხო“ რატომ? — ტერმინი

„დედა ენა“ იაკობმა შექმნა საგანგებოდ საანბანე სახელმძღვანელოსათვის...

გავიხსენოთ, რა ერქვა ადრე არსებულ სახელმძღვანელოებს: „ქართული ანბანი“, „ანბანი ქართული“, „პირველი წიგნი“, „ყრმათა მეგობარი“, „ყმაწვილის სარკე“, „ბავშვის მოკეთე“...

ირკვევა, რომ 1876 წლამდე სიტყვა „დედაენა“ არ იხმარება ქართულ მწიგნობრობაში.

ჩვენ საგანგებოდ გადავხედეთ ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და თვით იაკობ გოგებაშვილის პუბლიცისტურ ნაშრომებს ამ თვალსაზრისით: 1876 წლამდე „დედაენა“ მათ ნაწერებში არ შეგვხვედრია. მათ პუბლიცისტურ წერილებში გვხვდება ტერმინები: ქართული ენა, სამშობლო ენა, დედ-მამის ენა, მშობლიური ენა; ნიკოლოზ ბარათაშვილმა გამოიყენა შესიტყვებები მამეული ენა, ბუნებითი ენა...

1876 წლის შემდეგ „ქართული ენის“ სინონიმად ძირითადად იხმარება „დედაენა“. ეს უკვე იაკობის დამსახურებაა.

ფაქტია, ტერმინი „დედაენა“ იაკობ გოგებაშვილმა გამოიყენა პირველად საანბანე წიგნის სახელწოდებად, შემდეგ ამ კომპოზიტმა მშობლიური ენის მნიშვნელობაც მიიღო. ეს კომპოზიტი „დედაენა“ შეიქმნა ისეთი სიტყვების ანალოგით, როგორებიცაა დედამინა, დედაბოძი, დედაბურჯი, დედაქალაქი, დედააზრი...

ცოტა მოგვიანებით ილია ჭავჭავაძე განმარტავდა: „ქართველისათვის „დედა“ მარტო მშობელი არ არის, ქართველი ღვიძლს ენასაც „დედა-ენას“ ეძახის, უფროსს ქალაქს — „დედა-ქალაქს“, მკვიდრს და დიდ ბოძს სახლისას — „დედა-ბოძს“, უდიდესა და უმაგრესას ბურჯს — „დედა-ბურჯს“, სამთავრო აზრს — „დედა-აზრს“, გუთნის გამგებელ მამაკაცსაც-კი — „გუთნის დედას“... ილიამ თითქოს განმარტა, რატომ შემოიღო ეს ტერმინი იაკობმა...

როცა იაკობი ამ ტერმინს ქმნიდა, იმუამად საქართველოში არსებულ ენობრივ ვითარებას ითვალისწინებდა:

XIX საუკუნეში რუსეთის იმპერია ცდილობს საქართველოს ენობრივი სიტუაცია იმპერიული ზრახვების სამსახურში მოაქციოს. როგორც იაკობი ალწერს „ბუნების კარსა“ თუ სხვა ნაშრომებში, საკმაოდ მრავალფეროვანია ჩვენი ქვეყნის ენობრივი მოზაიკა: ყველა კუთხის ქართველი თავისებურად უქცევს, თავისებურ კილოზე საუბრობს (დღეს ამგვარ კილოებს დიალექტებს ვეძახით: ხევსურული, ფშაური, კახური, ქართლური, იმერული, გურული, აჭარული და სხვა)... რამდენიმე კუთხის მეტყველება — სვანეთისა, სამეგრელოსი, ლაზეთისა (ჭანეთის) — საგრძნობლად განსხვავდება სხვა კუთხის ქართველთა მეტყველებისაგან და ქართული ტრადიციული გააზრებით მათ ენებს ვუწოდებთ; ასეთია ჩვენი ეროვნული შეგნებაც: მაგალითად, ხევსური, ფშაველი, კახელი, იმერელი თუ აჭარელი კითხვაზე, „რა ენაზე საუბრობ?“, გიპასუხებს — „ქართულადო“; სვანი გეტყვის — „სვანურადო“, მეგრელი — „მეგრულადო“, ლაზი (ჭანი) — „ლაზურადო“ (ჭანურადო)... თუმცა ოდითგანვე სვანთათვის, მეგრელთა თუ ლაზთათვის, ისევე როგორც სხვა კუთხის ქართველთათვის, წიგნის ენა ქართული იყო, ღვთისმეტყველების ენა ქართული იყო; ქართულ ენაზე იქმნებოდა ის უდიდესი და უმდიდრესი ქართული კულტურა, რომლის შექმნაშიც თანაბრად მონაწილეობდნენ ყოველი კუთხის ქართველნი... ქართული სალიტერატურო ენა ქართველთათვის იყო მთავარი ენა, საღმრთო ენა...

როგორც მთავარ ქალაქს დედაქალაქს ეძახის ქართველი, მთავარ აზრს — დედააზრს, მთავარ ბურჯს — დედაბურჯს და ა. შ. იაკობ გოგებაშვილმა ამის ანალოგით მთავარ ენას (საღმრთო ენას, სალიტერატურო ენას, წიგნის ენას) დედაენა უწოდა და ასე მონათლა წიგნიც. ძალიან გასაგებად განმარტავს: „ცნობილია, რომ ყოველს ერს აქვს მთავარი ენა, რომელიც საერთო საუნჯეს შეადგენს ამ ერის ყველა ნაწილისათვის და იწოდება მის დედა-ენად, და თემიური კილო-კავები (наречия), რომელიც იხმარებიან ადგილობრივ“... ამ თემაზე საერთოდ ბევრს მსჯელობს

იაკობი: მისი მტკიცებით, მეგრული, ლაზური და სვანური მეტ-ყველებანი შტოებია ქართული ენისა. იაკობი განმარტავს: „რაც მეგრელთა შტოს შესახებ ითქვა, სავსებით შეეხება ქართველი ხალხის მეორე შტოსაც — სვანებს, რომელთა არაქართველებად გადაქცევას ლამბენ იგივე გულმოდგინე, მაგრამ ხეპრე პოლიტიკანები, წინააღმდეგ ამ სიმპატიური მთიელი ქართველების სურვილისა, რომლებიც ჩვენი წელთაღრიცხვის მეოთხე საუკუნიდან დღემდე მხოლოდ ქართულ ენას და ქართულ ალფაბეტს ხმარობენ ეკლესიაშიც, სკოლაშიც და თავისი ცხოვრების ყველა სხვა სფეროშიც“...

როგორც ჩანს, მსგავსი სტრუქტურის სიტყვა (დედაენა) ევროპულ ენებშიც არის, მაგრამ ევროპული გაგებით **დედაენა** ნიშნავს **დედის ენას, მშობლის ენას** („ენა, რომელიც დედისგან მივიღეთ, როგორც დედის რძე“ — ვინფრიდ ბოედერი); ქართული გაგებით **დედაენა** — მთავარი ენაა. გააზრება ასეთია: არსებობს კილოკაური განსხვავებები ქართველთა მეტყველებას შორის, კუთხური ნაირსახეობები, მაგრამ საერთო და მთავარი ქართული სალიტერატურო ენაა — **დედაენა!**

ზუსტი შეფასება მისცა ამ ფაქტს ცნობილმა გერმანელმა ქართველოლოგმა ვინფრიდ ბოედერმა: „იაკობ გოგებაშვილი გენიოსი იყო იმ გაგებით, რომ ზუსტ დროს სწორი სიტყვა იპოვა. ქართული ენის დაცვამ იმ დროს მოითხოვა ასეთი ემოციური ცნება... ეს არის ქართული ენით მოლაპარაკეთა თვითშეგნების არაიდეოლოგიური და ისტორიული გაგება“.

ზემოთ რუსული იმპერიული ზრახვა ვახსენეთ: სწორედ ქართველური მეტყველების ნაირსახეობათა სიმრავლე, განსხვავებულობა გამოიყენეს ქართველთა ერთიანობის დარღვევისათვის, ქართველთა დაშლისათვის; ასე დემაგოგობენ: რადგან განსხვავებულად საუბრობენ, არ არიან ქართველებიო; საქართველოში ცხოვრობენ ქართველები, მეგრელები, სვანები, აჭარლებიო და ა. შ.

სწორედ ამის საწინააღმდეგოდ იყო საჭირო ერთიანი ეროვნული შეგნების განმტკიცება და აღორძინება. სწორედ ამას ემსახურებოდა დედაენის ცნების დამკვიდრება და „დედაენის“ სახელმძღვანელოს შექმნა... ანუ „დედაენის“ დაბადება!

და კიდევ: ყოველთვის უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ „დედაენა“ იაკობ გოგებაშვილის საავტორო ტერმინია და არავის აქვს უფლება გამოიყენოს თავისი სახელმძღვანელოსათვის!

## უმთავრესი ღირსებანი ანგანის სწავლების იაკოშ გოგებაშვილისაული გეთოდისა



1. პირველ გაკვეთილად „ია. აი ია“-ს შემოტანა — ეს არის უპირველესი და უმთავრესი ღირსება ანგანის სწავლების ი. გოგებაშვილი-სეული მეთოდისა; გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას, ეს არის ქართული კულტურის ისტორიაში უდიდესი აღმოჩენა, ეპოქალური მიგნება; ძირითადად სწორედ ამ დასაწყისმა განაპირობა ი. გოგებაშვილი-სეული მეთოდის არნაული წარმატება; „დედაენა“ გამოსვლისთანავე უალტერნატივო სახელმძღვანელო გახდა ქართულ საგანმანათლებლო სივ-

რცეში. რით არის მნიშვნელოვანი ეს დასაწყისი?

- ა) ორივე სიტყვა (**ია. აი**) უმარტივესი სტრუქტურისაა: შედგება ორი ხმოვანი ასოსაგან; წასაკითხად და გამოსათქმელად უადვილესია;
- ბ) **ა და ი** ხმოვნები ქართულ ბერძნობის სიხშირით სხვებს ბევრად აჭარბებს. სიტყვათა უდიდეს უმრავლესობაში ამათგან ან ერთი ხმოვანია, ან — მეორე, ანდა — ორივე ერთად;
- გ) სიტყვა **ია** შედგება ორი მარცვლისაგან (**ი-ა**). თითოეული მარცვალი ოდენსმოვნის შემცველია და იოლად წარმოითქმის;

დ) ორი სმოვანი (**ა, ი**) ორ სიტყვას ქმნის (**აი, ია**) და ეს ორი სიტყვა ერთად ფრაზას შეადგენს: „**აი ია**“. ფრაზის აღქმა პავ-შვისათვის გაცილებით იოლია და დასახსომებლად ადვილი, ვიდ-რე ცალკე სიტყვებისა; „**ხალისსაც ძლიერ უმატებს გაკვეთილს ეს ფრაზა... ადამიანს ახალისებს არა განმარტოებული საგნები, არა-მედ მათი კავშირი...** ენის სიცოცხლე იწყება ფრაზებიდან და რამ-დენადაც ადრე გადახვალთ ფრაზებზე, იმდენად უფრო უკეთესია. ამ საიდუმლოს – კითხვის მნიშვნელობას, მხოლოდ მაშინ იგებს და გრძნობს“ (სადაც ავტორს არ ვუთითებთ, ამონარიდი იაკობ გო-გებაშვილისაა).

ე) ამ სიტყვით (**ია**) აღნიშული საგანი ყველასათვის ნაცნობი და „**საყვარელი ყვავილია, მეტადრე ბავშვებისათვის**“;

ვ) ესთეტიკური თვალსაზრისით სიტყვაც და ამ სიტყვით ალ-ნიშული საგანიც ძლიერ მიმზიდველია;

ზ) ბავშვებისათვის საყვარელი არაერთი ლექსია შექმნილი „**ია**“-ზე;

თ) „**ია**“-ზე ასევე შექმნილია მრავალი სიმღერა. სიმღერა კი „**სამართლიანად ითვლება ჩვენს დროში სკოლის სულად და გულად.** იგი უკითარებს ბავშვს სმენას და აჩვევს ჰარმონიას, უსუს-ტებს და უსპობს ხეპრობასა და ზრდის მის გულში სინაზესა და სიფაქიზეს, აკეთილშობილებს მის ბუნებას“;

ი) **ია** იოლად დასახატი საგანია და ნახატს ადვილად ამო-იცნობს ბავშვი, ანუ შესაბამისობა სიტყვასა და ნახატს შორის ზუსტია. „**სურათი თვალსაჩინოდ ჰედის შინაარსს, წიგნს აძლევს სიცოცხლესა და ხალისს.... სურათის შემწეობით ბავშვი ნახევარს ცოდნას სრულს ცოდნად გადააქცევს, გაურკვეველს წარმოდგენას — გარკვეულად, არასრულს სახეს საგნისას — სრულ სახედ**“;

კ) წიგნთან შეუჩვეველ ბავშვს სანამ ჩვევაში გადაუვა კითხვის მიმართულება (მარცხნიდან მარჯვნივ), შეცდომის შემთხვევაშიც კი (ე. ი. თუ მარჯვნიდან წაიკითხავს), ტექსტი იგივეა: „**აი ია**“ პა-


ლინდრომია — მარცხნიდან და მარჯნიდან ერთნაირად იკითხება ანუ — ასოები არ აერევა ერთმანეთში.

იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავს, რომ „ასეთ დასაწყისს უდიდესი მნიშვნელობა აქვს წარმატებისთვის... რამდენადაც ჩვენ ვიცით, არცერთ ენაზე არ იწყება ასე სამაგალითოდ წერა-კითხვის სახელმძღვანელო და არ იწყება სწორედ იმის გამო, რომ არცერთი სხვა ენა არ აძლევს ამის ნებას იქაურ პედაგოგებსა... თუ სხვა ხალხების ანბანში ვერ იპოვნით ამისთანა სრულსა და მარტივს პირველს გაკვეთილსა, ეს წარმოსდგება ენათა თვისებისაგან, ნაკლულევანებისაგან. სომეხთა პედაგოგებმა, მაგალითად, ბევრი ექებეს თავისს ენაში იმისთანა ფრიად მოხერხებული სიტყვა, როგორც ია, რათა მით დაეწყოთ თავიანთი ანბანი, მაგრამ ვერ იპოვეს“...

მეთოდის ავტორის აზრით: „პირველი გაკვეთილი „დედაენის“ ანბანისა აკმაყოფილებს ყოველს პედაგოგიურს მოთხოვნილებასა სავსებით და უნდა ჩაითვალოს იდეალურ გაკვეთილად, და ეს უნდა მიეწეროს ქართული ენის ლირსებასა და არა ჩვენს ოსტატობასა...“...

2. საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის ი. გოგებაშვილისეული მეთოდის მიხედვით, ყოველი ახალი საანბანე სიტყვა შერჩეული არის დიდი რუდუნებით; იგი არის ბავშვისათვის კარგად ნაცნობი საგნის აღმნიშვნელი; ესთეტიკურად მიმზიდველი; ამასთანავე იოლად დასახატავი („სურათების შემწეობით ჯერ საგანი უნდა გაიცნონ ბავშვებმა, მერე მისი სახელი, რომელიც მისი გამოხატულების ქვეშ არის მიწერილი“). ყოველ მომდევნო გაკვეთილზე შემოტანილი ახალი ასო გრაფიკულად სიახლოვეს ავლენს წინა ასოსთან (ა, ი და თ...). საანბანე სიტყვა არის იოლად დასამარცვლი და ახალი ასო — მარცვლიდან მარტივად გამოსაყოფი (შეძლებისდაგვარად საანბანე სიტყვაში თანხმოვანთა კომპლექსისგანაც არის არიდებული თავი). ამ პრინციპით აიგო „დედაენის“ მეორე და მომდევნო გაკვეთილები (თითი, საათი, თხა, თოხი, ხე, უთო, ძუა...).

3. საანბანე საკითხავ ტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სიტყვათა შერჩევასა და მათი დალაგების პრინციპს. ყველა სიტყვა არის საქართველოს ნებისმიერ კუთხეში გაზრდილი ბავშვისთვის ნაცნობი ან იოლად შესაცნობი. საამისოდ „დედა-ნის“ შემდგენელს (ი. გოგებაშვილს) ცნობილი მოღვაწები უწევდნენ კონსულტაციებს; მაგალითად, ერთ-ერთ ექსპერტად დიდი ქართველი პოეტი **აკაკი წერეთელი** ჰყავდა.




4. მეორე საანბანე გაკვე-თილიდან მოყოლებული ყოველ ახალ გაკვეთილზე ხდება თითო ასოს გაცნობა. ძირითადი პრინ-ციპი ასეთია: „**ერთ გაკვეთილზე — ერთი სიძნელე**“. ამიტომაც მე-ორე გაკვეთილად „თითი“ გამო-იტანა; ესეც ძალიან საინტერესო მიგნებაა (პირველ გამოცემაში არ იყო ასე): **თ** მოხაზულობით ახლოსაა **ი** და **ა** ასოებთან; სა-

განი ძალიან ნაცნობია. **თ**-ს მიმატებით ნაცნობ ასოებთან (**ა**, **ი**) ოთხი ახალი სიტყვა იქმნება: **ა-თი, თი-თა, თა-თი, თი-თი.** სიტყვა-თა ასეთი დალაგებაც ავტორისეულ ძირითად პრინციპს მიესადა-გება („**ნაცნობიდან უცნობისაკენ**“); „აქ ყოველი შემდეგი სიტყვა, გასაადვილებლად კითხვის პროცესისა, უნდა იწყებოდეს იმ მარ-ცვლით, რომლითაც თავდება წინა სიტყვა“...

5. ზემოთ აღვნიშნეთ, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებს ი. გო-გებაშვილი ფრაზებს ანბანის სწავლების პროცესში; სწორედ ამი-ტომ 26-ე გაკვეთილიდან საანბანე სიტყვების ნაცვლად ფრაზები შემოაქვს; ჯერ ორსიტყვიანი („მერცხალი მიფრინავს“, „ქოჩორა ტოროლა“), შემდეგ — სამსიტყვიანი („აბუზული წინილა სდგას“, „კაჭკაჭი ტოტზე ზის“...). ფრაზებთან დაკავშირებით საყურადღე-ბოა საანბანე ტექსტის სტრუქტურა: ჯერ მოცემულია ახალი ასოს

შემცველი დამარცვლილი სიტყვები; შემდეგ ფრაზები — ჯერ ორ-სიტყვიანი, შემდეგ სამსიტყვიანი და ა. შ.



— 3 (იხვი). ი. გოგებაშვილი განმარტავს: არ შეიძლება მათი ადგი-ლების გაცვლა (თავის ოპონენტებს უხსნის), „**ჯერ იმიტომ, რომ მასვე გაეძუტება გენეტური მეთოდი, რადგანაც რთული ასო წინ მოექცევა უფრო მარტივსა, რომელიც პირველის ელემენტს შეადგენს (იგულისხმება გრაფიკულად)**, მერმე იმიტომ, **კ** მეაფიოდ გამოთქმისათვის ბევრად ადვილია 3-ზე და ადვილადვე უერთდება, უკავშირდება ყოველს გვარს ასოსა, კითხვის პროცესს აადვი-ლებს“. ასევე სხვა შემთხვევაშიც...

ამ მეთოდის მიხედვით, ასოთა სწავლების თანამიმდევრობის მთავარი პრინციპი არის: ბევრათა გამოთქმის სიადვილე-სიძნელე (მარტივიდან რთულისაკენ); ბევრათა რაგვარობა; ბევრათა სინ-ტაგმატური თვისებები; ბევრათა გამოყენების სიხშირე; რამდე-ნად ცნობილი საგნის დასახელებაში შედის ესა თუ ის ბევრა და ეს საგანი დასახატავად რამდენად მოხერხებულია; როგორია ამ ბევრის შესაბამისი ასოს გრაფიკული მოხაზულობა, თუ „**რავდენს მასალას აძლევს სიტყვებისა და ფრაზების შესადგენად, რავდენად ადვილია საწერად და სხვანი**“. როცა ამ საკითხებზე მსჯელობს,

6. ქართული საან-ბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგე-ბაშვილისეული მეთო-დის მიხედვით უდიდესი მნიშვნელობა აქვს ასოთა სწავლების თანამიმდევ-რობას. ყველა შემთხვევა საგანგებოდ არის აწო-ნილ-დაწონილი. მაგალი-თად, „**დედაენაში“ ჯერ კ (სოკო) ისწავლება, მერე**

იაკობი საოცარ განსწავლულობას ავლენს ქართული ენის ფონეტიკური სისტემისა, ქართული ენის ბუნებისა...

7. იაკობი იმასაც აქცევდა ყურადღებას, საკითხავ ტექსტში რამდენჯერ მეორდება შესასწავლი ასო, რამდენჯერ — ნინა გაკვეთილზე შესწავლილი ასო, რამდენჯერ — იმის ნინაზე და ა. შ... და კიდევ: „ყოველი ახალი სიტყვა აუცილებლად უნდა იყოს გამეორებული შემდეგ გაკვეთილებში რამდენჯერმე, რათა ღრმად ჩაებეჭდოს ბავშვს მეხსიერებაში“. ასეა დაბალანსებული მთელი საანბანე წიგნი.....

8. საინტერესო სასვენი ნიშნების საკითხიც საანბანე ნაწილში: ავტორი გამოიყენებს მხოლოდ წერტილსა და კითხვის ნიშანს. მძიმესა და ძახილის ნიშანს ამ ნაწილში არ ხმარობს: ცხადია, ბავშვისათვის მძიმისა და ძახილის ნიშნის ფუნქცია ძნელი ასახსნელი იქნება. ტექსტის აღქმისთვის წერტილი და კითხვის ნიშანი ამ ეტაპზე სავსებით საკმარისია.

9. საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდის მიხედვით, საანბანე წიგნი უნდა იყოს „ენობრივი სახელმძღვანელო“. იგი ისე უნდა აიგოს, რომ არა მარტო შეასწავლოს, არამედ უნდა შეაყვაროს ბავშვს მშობლიური ენა. „სახელმძღვანელო უნდა იყოს უშეცდომო“; უმნიშვნელო შეცდომა საანბანე სახელმძღვანელოსთვის არ არსებობს; „ისე საჭირო არასდროს არ არის ამ კანონის დაცვა, როგორც სწავლის დასაწყისში“.

10. საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის ზოგადი პრინციპების მიხედვით, იგი უნდა გამოირჩეოდეს „წერის მასალის სიმდიდრით, ღირსებით; ელემენტარული იდეალების რაოდენობით... უნდა იყოს სახელმძღვანელო კითხვისა და წერისა ერთად, უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს იქითა და აქეთა საქართველოისას; საერო და სამრევლო სკოლებისას ერთად, უნდა დაეხმაროს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეების გაერთიანებას“; არ უნდა იყოს მექანიკურად შედგენილი, ხელი უნდა შეუწყოს ბავშვის გონებრივ

განვითარებას... იაკობ გოგებაშვილის თქმით, ასეთი მეთოდით შედგენილი სახელმძღვანელო „**წინ წასწევს ხალხის განათლებას**“.

11. ი. გოგებაშვილის აზრით, საანბანე სახელმძღვანელო-ში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წიგნის საერთო ტექნიკურ მხარეს: შრიფტების ზომას, შრიფტების მონაცემებას, ინტერვალსაც კი ასოსა და ასოს შორის, სიტყვასა და სიტყვას შორის, სტრიქონსა და სტრიქონს შორის; სათაურს, ქვესათაურსა და ტექსტს შორის. ეს აუცილებელია ბავშვის მხედველობის ჰიგიენის დასაცავად, მისი მხედველობის ორგანოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის და ნორმალური მხედველობის შენარჩუნებისათვის. იაკობის ცოდნა ამ თვალსაზრისით თანამედროვე ოფთალმოლოგებას აღფრთვოვანებას იწვევს...

12. სწავლების პროცესში აუცილებელია საგანგებო ყურადღება მიექცეს წერის ტექნიკას, კალიგრაფიას, ასოების გამოყვანის პრინციპს; ტრადიციული „**სწორე, პირდაპირი, მართებული**“ წერის უპირატესობის დასაბუთებას „**ირიბ, დახრილ**“ წერასთან შედარებით. „**ირიბული ხელის კითხვა ძნელია, მავნებელია მხედველობისთვის. პირდაპირი ხელის კითხვა ისეთივე ადვილია, როგორც ბეჭდურის**“. აქ გასათვალისწინებელია ქართული ასოების გრაფიკული თავისებურებები (განსხვავებით ლათინურისაგან) და ისიც, რომ სწორე წერის დროს სხეული ნორმალურ მდგომარეობაშია, ირიბი წერის დროს კი — არაბულებრივ მდგომარეობაში, რაც „**მავნებელია სხეულისათვის, დამამასინჯებელია მეტ-ნაკლებობით, მეტადრე პატარაობის დროსა**. როცა სხეული იზრდება და ძლიერ ეჭირვება ნორმალური მდგომარეობა““. და საერთოდ, „**ესთეტიკურს მხარეს, სილამაზეს წერაში ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს**“;

13. ი. გოგებაშვილის აზრით, უმთავრესი, რასაც უნდა ეფუძნებოდეს ეროვნული სკოლის სახელმძღვანელო, არის **ეროვნულობა და ზნეობრიობა**. შესაბამისად, ანბანის შემდგომ საკითხავი მასალის შედგენისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ:

ა) ეროვნული სულის გაღვივება და განმტკიცება საანბანე სახელმძღვანელოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მისიაა. ქართული ენის საანბანე სახელმძღვანელო „**ყველა მოწაფეში ავითარებს და ზრდის ქართველს ადამიანს საზოგადოდ**“.

ბ) საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდი ზნეობრივი პიროვნების აღზრდას ისახავს მიზნად; ზნეობრივ-ეთიკური პრინციპები უნდა იყოს დაცული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენისას, რადგანაც „**ეთიკა, სპეტაკი ზნე საძირკველია ხალხის არსებობისა, სიმტკიცისა, კეთილდღეობისა**“.



**შევნიშნავთ:** როცა ვსაუბრობთ აკმ-ის ძეგლის — „დედაენის“ — დაცვასა და სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფაზე, ყველა ეს პრინციპი უნდა იქნეს გათვალისწინებული; და აგრეთვე ის, რასაც ანდერძში ითხოვს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისაგან იაკობ გოგებაშვილი: „**ყოველგვარი ცვლილება ჩემს სახელმძღვანელოებში და წიგნებში შეიძლება იქნეს შეტანილი იმ ცვლილებათა მხოლოდ ზედმინევნით შესწავლის შემდეგ საზოგადოების გამგეობის ყველა წევრის მიერ, და მიღებულ იქნება დადგენილება გამგეობის ყველა წევრის სამი მეოთხედის მიერ**“... შევნიშნავთ იმასაც, რომ პასუხისმგებლობა ამ ანდერძის შესრულებაზე დღეს ეკისრება განათლების სამინისტროს, როგორც ფაქტობრივ სამართალმემკვიდრეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა...

## ანდერძი იაკოპისა

თურმე სულთმობრძავი იაკოპის უკანასკნელი თხოვნა ეს იყო, „დედაენას“ უპატრონეთო... თანაც ამბობდა: „თუ „დედა-ენა“ გაუკეთესებას მოაკლდება, მოკვდება“ და იმ პრინცაპებსაც გვთავაზობდა, როგორ უნდა მოგვეარა „დედაენისთვის“...

იაკობ გოგებაშვილმა ქართველთა შორის წერა-კითხვის გა-მავრცელებელ საზოგადოებას უანდერძა „დედაენა“. როგორც აღვნიშვნეთ, ანდერძის ერთ-ერთ პუნქტში საგანგებოდ არის მი-ნიშნება იმის თაობაზე, სახელმძღვანელოში რა სახის ცვლილება შეიძლება იქნეს შეტანლი და როგორ: „ყოველგვარი ცვლილება ჩემს სახელმძღვანელოებში და წიგნებში შეიძლება იქნეს შეტანი-ლი იმ ცვლილებათა მხოლოდ ზედმინევნით შესწავლის შემდეგ სა-ზოგადოების გამგეობის ყველა წევრის მიერ და მიღებულ იქნება დადგენილება გამგეობის ყველა წევრის სამი მეოთხედის მიერ“...

იაკობ გოგებაშვილი გარდაიცვალა 1912 წელს. „დედაენა“ ამ დროს ორ წიგნად გამოდიოდა (1906 წლიდან): I — საანბანე ნაწი-ლი; II — საკითხავი ნაწილი.



„დედაენის“ საანბანე ნაწილი იაკობის სიცოცხლეში 33-ჯერ გამოიცა, მეორე ნაწილი — 27-ჯერ. საერთო ტირაჟმა მიღიონ-ნახევარს გადააჭარბა. ეს ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, უპრეცენდენტო შემთხვევაა...

\* \* \*

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგა-დოება ასრულებდა იაკობის ანდერძს. 1925 წლამდე „დედაენის“ გამოცემას კომისია ხელმძღვანელობდა (ლუარსაბ ბოცვაძე თავ-კაცობდა ამ საქმეს). ამ წელს 45-ედ გამოიცა „დედაენა“. მაგრამ... 1927 წლის 24 აპრილს არსებობა შეწყვიტა „წერა-კითხვის გამავ-რცელებელმა საზოგადოებამ“. იმუამინდელმა ხელისუფლებამ ამ საზოგადოების მისია ამონტურულად მიიჩნია და სახალხო სკოლა სახელმწიფო ზრუნვის საგნად გამოაცხადა... ჯერ განათლების სახალხო კომისარიატი და მერე განათლების სამინისტრო ჩაუდგა სათავეში ეროვნული განათლების საქმეს...

„დედაენაც“ მათი ზრუნვის საგანი გახდა; უფრო სწორად, უნ-და გამხდარიყო...

**1925 წლის შემდეგ „დედაენის“ გამოცემა შეფერხდა.** იგი კვლავ გამოვიდა 1935 წელს. ათწლიანი ლოდინის შემდეგ ისევ განახლდა „დედაენა“. წერდნენ: „ძირითადად ი. გოგებაშვილის ბგერითი ანა-ლიბურ-სინთეზური მეთოდია მომარჯვებული ვ. ძიძიგურისა და ა. გვახარიას „დედაენის“ 1935-1943 წლების გამოცემებშიო... სიტყვა „ძირითადად“ იმას ნიშნავს, რომ არსებითი ცვლილებებია შეტანილი მასში... ერთიც: მეთოდია მხოლოდ ი. გოგებაშვილისო, ხოლო ავტორებად ვ. ძიძიგური და ა. გვახარია მოიხსენიებიან... ამ დროიდან გაჩნდა ქართულ სკოლაში „გოგებაშვილის მიხედ-ვით“ შედგენილი „დედაენები“; ამ დროიდან ნაერთვა ფაქტობრივ იაკობ გოგებაშვილს „დედაენის“ ავტორობა!

1944 წელს გამოდის ნ. ბოცვაძისა და ე. ბურჯანაძის მიერ იაკობის „დედაენის“ საფუძველზე შედგენილი „დედაენა“. ამ „დე-

**დაენას“ საბჭოთა „დედაენას“ უწოდებდნენ. ასე წერდნენ: „1943 წელს, როცა მრისხანე ომი მძვინვარებდა, ჩვენი რესპუბლიკის სელმძღვანელმა ორგანოებმა გამოიტანეს დადგენილება — დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოები აგებულიყო იაკობ გოგებაშვილის პროგრესულ მემკვიდრეობაზე, კერძოდ, მისი „დედაენის“ პრინციპებზე. ამ საქმეს კვალიფიციური კომისია ჩაუდგა სათავეში და 1944 წელს უკვე გამოიცა **ი. გოგებაშვილის პრინციპების მიხედვით შედგენილი საბჭოთა „დედაენა“** (6. ბოცგაძისა და ე. ბურჯანაძის)“.**

რას ნიშნავს „საბჭოთა დედაენა“? — ეს გულისხმობს იმას, რომ სახელმძღვანელოში ჭარბად არის შეტანილი საბჭოთა თემატიკა: ლენინი, სტალინი, ბერია, საბჭოთა არმია, კრემლი, რევოლუცია და ა. შ.

მერე რაო, შეიძლება თქვას ვინმემ, ეს იყო იმდროინდელი რეალობაო; კი, მაგრამ ეს უკვე დარღვევაა იაკობის ერთ-ერთი მთავარი პრინციპისა: პირველდაწყებითი (და არა მხოლოდ ის) **სახელმძღვანელო თავისუფალი უნდა იყოს პოლიტიკისაგან**, პოლიტიკური იდეოლოგისაგან. იაკობის ძმიშვილი, შალვა გოგებაშვილი, იგონებს იაკობის სიცოცხლის ბოლო წუთებს. იაკობს უთქვამს: „**მხოლოდ ის მაფიქრებს, რომ წერა-კითხვის საზოგადოებამ კარგად მოუაროს ჩემს „დედა-ენას“ და გონივრულად მოიხმაროს იმის შემოსავალი... „დედა-ენა“ დიდი რამეა ჩვენი ერისთვის. მეფე ერეკლეც რომ გვყოლოდა, ეს სახელმძღვანელო ისეთივე იქნებოდა, როგორიც დავტოვე ამ ბოლო დროს**“. — ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვებიო.

იაკობი ამას 1912 წლის 1 ივნისს ამბობს — **საქართველო რუსეთის კოლონიაა იმ დროს...**

მეფე ერეკლეს დროს — **საქართველო დამოუკიდებელი იყო...**

იაკობის აზრით, პირველდაწყებითი სასკოლო სახელმძღვანელოსთვის ამას მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს — **სახელმძღვანელომ ყმაწვილი წიგნიერების სამყაროში უნდა შეიყვანოს, ეროვ-**

ნული ცნობიერება უნდა ჩამოუყალიბოს, ზნეოპრივი სამყარო უნდა მოუწესრიგოს; ხოლო პოლიტიკურ იდეოლოგიაში მერე თავად უნდა გაერკვეს!.. — ესაა იაკობის პრინციპი.

„დედაენა“ არ უნდა იყოს პოლიტიკურად იდეოლოგიზირებული. არადა „საბჭოთა დედაენა“ სწორედ ასეთი იყო!.. ეს უკვე ღალატი იყო იაკობის ერთ-ერთი მთავარი პრინციპისა!..

\* \* \*

ჩვენს დროში „იმატა“ „დედაენებმა“ — 2009 წელს განათლების სამინისტრომ ჩაატარა საანბანე სახელმძღვანელოთა კონკურსი. „იაკობ გოგებაშვილის საზოგადოებაში“ იაკობის „დედაენა“ მოამზადა საკონკურსოდ. მას კონკურენციას უწევდა ცხრა(!) „დედაენა“. განათლების სამინისტროს ნუსხებში ცხრავე წიგნს თავიანთი ავტორები ჰყავდა (ერთ-ერთ გაზეთში წერილი გამოქვეყნდა ასეთი სათაურით: „განათლების სამინისტრომ იაკობ გოგებაშვილის „დედაენას“ (ცხრა ლახვარი ჩასცა!)“)...

ვთქვით ზემოთ: „დედაენა“ საავტორო სახელია — იაკობის მიერ შექმნილი და საგანგებოდ სახელმძღვანელოსთვის გამოყენებული. ქართული ენის საანბანე სახელმძღვანელოს ისევე არ შეიძლება სხვა ავტორმა დაარქვას „დედაენა“, როგორც „ოთარა-ანთ ქვრივი“ ან „სტუმარ-მასპინძელი“ არ შეიძლება უწოდოს სხვა მწერალმა თავის ნაწარმოებს! ითქვა ეს, მაგრამ არავინ აქცევს ყურადღებას და ილახება იაკობის საავტორო უფლებები, პიროვნული ღირსება!.. იძარცვება იაკობი!....

ესეც ვთქვათ: მითუმეტეს გაუმართლებელია „დედაენა“ ეწოდოს საანბანე სახელმძღვანელოს, რომელიც არაა აგებული „აი ია“-ს პრინციპზე. არის ერთი ასეთი ქართული ანდაზა: „თურაშაულის პატრონი ტყეუში ეძებდა პანტასო“. „აი ია“-ს პატრონი რომ საანბანე სახელმძღვანელოში პირველ გაკვეთილზე ა ასოს „აკვარიუმითა“ და „აქლემით“ ასწავლის, ამას ჰქვია „პანტას ეძებ-

დაო“... ასეთი წიგნი დღესაც სკოლაშია, ი. გოგებაშვილის „დედა-ენა“ კი... თუმცა განვაგრძოთ მსჯელობა.


ზემოხსენებული 9 ალტერნატიული „დედაენიდან“ 5 „აი იას“ პრინციპზე იყო აგებული; ავტორებად კი სხვები (და არა იაკობი!) სახელდებოდნენ!.. ესეც მიტაცებაა იაკობის ინტელექტუალური საკუთრებისა...

და ჩატარდა კონკურსი... განათლების სამინისტრომ „არავის აწყენინა“ და გრიფი მიანიჭა საკუნცურსოდ წარდგენილ 10-ვე სახელმძღვანელოს!

ანუ: ჩატარდა არა კონკურსი, არამდე — რეგისტრაცია საკონკურსოდ წარდგენილი წიგნებისა!..

ერთადერთი სიკეთე, რაც ამ კონკურსმა მოიტანა, ის იყო, რომ ი. გოგებაშვილის საზოგადოების მიერ გამოსაცემად მომზადებული იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ ქართულ სკოლაში დაბრუნდა. მართალია, დღევანდელი გადასახედიდან იმ გამოცემას ჰქონდა ხარვეზები, მაგრამ ფაქტი თავისთავად მნიშვნელოვანი იყო: 1935 წლის შემდეგ ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა „დედა-ენის“ ავტორად იაკობ გოგებაშვილი გამოცხადდა ოფიციალურად! აღდგა ისტორიული სამართლი-ანობა!

...მაგრამ ეს ბედნიერება ხან-მოკლე აღმოჩნდა: 2011 წელს განათლების სამინისტრომ კვლავ გამოაცხადა ქართული ენის სახელმძღვანელოების კონკურსი და იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენამ“, როგორც სამინისტროდან გვაცნობეს, „ვერ დააკმაყოფილა საკონკურსე პირობები“... სხვათა



„დედაენებმა“ („გოგებაშვილის მიხედვით შედგენილებმა“!) ჩაა-ნაცვლეს იგი...

საუბედუროდ, განათლების სამინისტრომ „უარი თქვა“ იაკობ გოგებაშვილის „დედაენაზე“; იმედია, დროებით...

ეს არ იყო პირველი შემთხვევა და, სამწუხაროდ, როგორც ჩანს, არც უკანასკნელი, როცა საგანმანათლებლო სისტემა და-უპირისპირდა იაკობ გოგებაშვილის „დედაენას“. ეს ბედი „დედა-ენას“ დაბადებიდანვე დაჰყვა... თუმცა სკობს უფრო ვრცლად ვისაუბროთ, რა გადახდა თავს „დედაენას“.

## პრძოლა „დედაენის“ დასაცავად

საბედნიეროდ ჩვენდა, იყვნენ მოღვაწეები, რომლებმაც იმ-თავითვე სწორად შეაფასეს იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ მნიშვნელობა ერისათვის (დიმიტრი ყიფანმა, ილია ჭავჭავაძემ, არტურ ლაისტმა, ზაქარია ჭიჭინაძემ, თედო სახოვამ...), სწორად დაინახეს „დედაენის“ ლირსებანი... სწორედ ამან ათქმევინა აკაკი წერეთელს: „ჩემი და ილიას ღვაწლი რა მოსატანია იმ დიდ ღვაწლთან, რომელიც იაკობ გოგებაშვილს მიუძღვის ქართველი ერის წინაშე... იაკობ გოგებაშვილმა ქართველ ხალხს ქართული ენის სიტყობება ყურში ჩააწვეთა, ქართველ ხალხს ქართული ენა შეაყვარა. განა ეს პატარა საქმეა! იაკობ გოგებაშვილი ლირსია, რომ ქართველმა ხალხმა სიცოცხლეშივე ძეგლი დაუდგას“.

მაგრამ, სამზუხროდ ჩვენდა, იყვნენ ისეთებიც, ვისთვისაც ეს ჭეშმარიტება მიუღებელი იყო...

წერს ერთგან იაკობი: „რაც მე დრო და შრომა მოვანდომე ჩე-მი სახელმძღვანელოების შედგენას და ხანგამოშვებით გაუკეთე-სოებას, ათი იმდენი დრო და შრომა მომინდა მათი დაცვისათვის სხვა და სხვა ცილისწამებისაგან“... ერთგან თავისმართლებისას იმის განმარტებაც დასჭირდა, ცილისწამება რა არის — „ცილის-წამება ჰქვიან იმისთანა სიცრუეს, რომელშიც შედის ბოროტი განზრახვაო“... და სწორედ ამ ბოროტ განზრახვას ებრძვის იაკო-ბი; ებრძვის, უმკლავდება და იმარჯვებს... თუმცა საშური დრო იხარვება!...

ვინ ებრძვის იაკობს, ვისგან იცავს იაკობი „დედაენას“, რო-გორ და რატომ?

იოსებ იმედაშვილის თქმით, იაკობს „პრძოლა უხდებოდა გა-რეშე თუ შინაურ მონინააღმდეგებთან“... ივანე გომელაური იგო-ნებს: „იაკობი თავგამოდებით, ბასრი კალმითა და მჭრელი ენით იცავდა თავის სახელმძღვანელოებს ყოველმხრივ მოსეული მტრე-ბისაგან. მტრები კი ბევრი ჰყავდა — შინაური და გარეული. შინა-

ურები იყვნენ წვრილფეხა და განდიდება-გამდიდრების სურვილით შეპყრობილი მასნავლებლები, რომლებიც ცდილობდნენ „დედაენის“ და „ბუნების კარის“ დამცირებას, რათა მათ მაგიერ სკოლები-სათვის მიეჩირებინათ შეთითხნილი სახელმძღვანელოები და ამით გემრიელი ლუკმა აეღოთ ხელში. განსაკუთრებით „დედაენას“ ეცილებოდნენ, რადგან ის უფრო შემოსავლიანი იყო. გარეშე მტრები კი იყვნენ მთავრობის მოხელეები, მოყოლებული სასწავლო ოლქის მზრუნველიდან, ყველა მისი ყურმოჭრილი ჩინოვნიკით, რომელთაც არაფრად ეპიტნავებოდათ არც ზვიადი და განათლებული ჩვენი პედაგოგი და არც მის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოები“...

„გარეშესთან“ ბრძოლის ერთ კონკრეტულ მაგალითად შეიძლება დასახელდეს იაკობის დაპირისპირება განათლების სკითხებში კავკასიის ოლქის მზრუნველთან, იანოვსკისთან.

დიახ, იყო ვინმე კირილე იანოვსკი — კავკასიის ოლქის მზრუნველი; მას ებარა სწავლა-განათლების საქმე კავკასიაში. ივანე ჯავახიშვილის თქმით, „იანოვსკიზე დაუძინებელი მტერი არ ჰყოლია ქართულ ენას“. იანოვსკისთან ბრძოლა გრძელი თემაა; ერთ შემთხვევას გავიხსენებთ (მოგითხრობთ იაკობ გოგებაშვილის მოგონების მიხედვით).

იანოვსკიმ თვალი დაადგა „დედაენას“; იაკობისათვის უთქვამს:

— ჩვენის სკოლების მთავარი მიზანი რუსული ენის გავრცელებაა აქაურ მცხოვრებთა შორის; ამ მიზანს, სხვათა შორის, აბრკოლებს სიფართოვე თქვენი „დედა-ენისა“, რომელიც დიდ დღროს ითხოვს თავისი გათავებისთვის. ქართული წერა-კითხვის შესწავლა ძალიან ადვილია და სრულიად საჭირო არ არის დიდი სახელმძღვანელო. საბჭოში გვქონდა ამის შესახებ მსჯელობა და შემდეგ დასკვნამდე მივედით: მოგცეთ წინადადება, ერთი ორად შეამოკლოთ „დედაენა“ და გვერდში პარალელურად ამოუყენოთ რუსული თარგმანი. ამ გზით ქართული ენაც საკმარისად შეისწავლება და რუსული ენაც წინ წავაო!..

დამეთანხმებით, მძიმე წინადადებაა. ფაქტობრივ, „დედაენის“ გაძევება სურთ ქართული სკოლიდან. ერთი კვირა მისცა იანოვ-სკიმ იაკობს მოსაფიქრებლად. უთქვამს:

თუ არ დაგვეთანხმებით, საბჭო თვითონ გამოსცემს სახელ-მძღვანელოს და, ნურას უკაცრავად, თუ თქვენი „დედა-ენა“ გა-ირიყებაო...

ეს წინადადება კი არა, ულტიმატუმი იყო!

იაკობი იცნობს ვერაგ იანოვსკის და შეშფოთებულმა „ნერა-კითხვის საზოგადოებას“ მოახსენა ეს ამბავი. ცხადია, ამ საზოგა-დოების წევრებმაც იციან იანოვსკის ინტერესები და „პრიციპები“ და ამიტომაც ზოგმა ურჩია იაკობს, დაყაბულდეს შემოთავაზე-ბულ წინადადებას:

— „დედაენის“ ნახევარს მაინც გადავარჩენთ, თორემაო, ისი-ნი გამოსცემენ მახინჯს რასმე, ისიც რუსული ალფავიტითო და საქმე სრულად წახდებაო“.

იაკობი კატეგორიული წინააღმდეგია შემოთავაზებული ცვ-ლილებისა, ურჩევნია, აიკრძალოს „დედა-ენა“, რადგან:

— „ახლანდელი სახით დამართული „დედა-ენა“ მკვდრეობით შე-იძლება მალე აღდგე; მაგრამ დამახინჯებული კი საუკუნოდ მკვდა-რი დარჩებაო!..“ — ბრძენი იყო იაკობი!..

ბრძოლა გრძელდება. იანოვსკი არაა ის მოხელე, იოლად და-იხილს უკან... იაკობი არგუმენტაციაზე ფიქრობს... ერთი კვირის შემდეგ იაკობი ეახლა იანოვსკის და მოახსენა:

— თქვენი წინადადება კარგად ავწონ-დაგწონე და იმ აზრზე დავდექი, რომ მისი განწორციელება მავნებელი იქნება რუსულის-თვისაც და ქართულისთვისაც. ეს ორი ენა სხვადასხვა ნათესაო-ბას ეკუთვნის და ერთის პედაგოგიური თანდათანობა მეორისას ბევრად ენინააღმდეგება. პედაგოგია მოითხოვს არა პარალელურს მეთოდს, არამედ შედარებითს...

იცის იანოვსკიმ, რომ პროფესიონალს ესაუბრება და ამიტომ გულდასმით უსმენს... იაკობი განაგრძობს:

— ამ მეთოდის მიხედვით, ქართველმა ბავშვებმა ჯერ ქარული წიგნი უნდა ისწავლონ და მერე რუსულზე გადავიდნენ და ყველა ნაბიჯზე ადარონ ერთმანეთს ეს ენები.

იაკობი არგუმენტად თვით იანოვსკისავე სასწავლო გეგმას მოიყვანს. ეს გეგმა ახსოვს იანოვსკის, მაგრამ იმპერიული ინტერესი სხვას უკარანთხებს და გადაწყვეტით ეტყვის იაკობს:

— თქვენი ნებაა. მაგრამ იცოდეთ, რომ სანაცვლოდ თქვენის „დედა-ენისა“ ჩვენ თვითონ გამოვცემთ ქართულ-რუსულ სახელმძღვანელოსო...

არ გაჭრა იაკობის მეცნიერულმა არგუმენტაციამ. აკი შიშობდნენ კიდეც „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამგეობის წევრები.

მაგრამ იაკობი არ აპირებს უკან დახევას... ახლა სხვა გზიდან მოუვლის; მუქარაზე გადადის:

მაგ შემთხვევაში მე უსათუოდ ვიჩივლებ საქართველოს მეფესთან!..

ამის გამგონე იანოვსკი ირონიულად გადმოხედავს იაკობს და დამცინავად შეეკითხება:

სად არის საქართველოს მეფე? საუკუნეზე მეტია, მეფე აღარ გყავთ...

იაკობი მთელი სერიოზულობით უპასუხებს:

— არა, იგი არამც თუ არსებობს, მთელს რუსეთზე მბრძანებლობს. რუსეთის იმპერატორი მეფეა საქართველოსიც და მას მივმართავ საჩივრით და მოვახსენებ, რომ მისი ერთგული ქართველი ერი განიცდის იმისთანა შევიწროებას, რომელსაც მოშორებულია ყოველი კულტურული ერი, რუსეთის საზღვრებში მოქცეული...

როგორც ჩანს, საუბარი კიდევ გაგრძელდა. ახლა იაკობია „შეტევაზე“ გადასული; ბოლო სიტყვასაც იგი ამბობს ამ საკმაოდ მძიმე და საშიშ პაექრობაში:

— ვწუხვარ, რომ თქვენის სურვილის სისრულეში მოყვანა არ შემიძლიან.. წინააღმდეგ ამისა, მე სრული იმედი მაქვს, რომ სამოსწავლო საბჭოს ხელს ააღებინებთ ამ მეტად საწყენ და მავნე

აზრის განხორციელებაზე და იძულებულს არ გამხდით, სატახტო პრესაში გადავიტანო ეს საკითხი... იანოვსკი კარიერულ წინსვლაზე ოცნებობდა და დაფრთხა, უკან დაიხია!..

იაკობმა გაიმარჯვა, საბჭომ ხელი აიღო თავის განზრახვაზე... იაკობი იუმორით ამთავრებს თხრობას: „და მეც ჩემი მხრივ ასეთი ხათრი გავუნიე მას: „დედა-ენა“ ერთი ორად გავადიდე“...

ეს იყო ერთი შემთხვევა გარეშე მტერთან ბრძოლისა. ფაქტი საშიში და საბედისწერო — იაკობის დამარცხება ქართული ენის, ქართული სკოლის დამარცხება იქნებოდა... სხვაც იყო „გარეშე“ მტრთან ბრძოლის ფაქტები და არაერთი — ეგზარხოსთან თუ სემინარიის დირექტორთან; სამთავრობო კომისიასთან თუ ინსპექტორებთან... და თითქმის იაკობის მთელი ცხოვრების მანძილზე ეს ფრონტი აქტიური იყო...

\* \* \*

„იაკობს ბრძოლა უხდებოდა გარეშე თუ შინაურ მტერთანო“, — იოსები იმედაშვილი წერდა...

„შინაურმა მტერმაც მრისხანებით წამოჰყო თავიო“... — დაინანებს ნიკო ლომოური...

როგორც ვთქვით, როცა „დედაენა“ გამოვიდა, რამდენიმე საანბანე წიგნი იყო ქართული. ორი ასპექტია გასათვალისწინებელი: **ერთი** — არ სურს კონკურენტი სახელმძღვანელოს ავტორს, ირწმუნოს, რომ იაკობის „დედაენა“ მის ნაცოდვილარს სჯობია; **მეორე** — (და ალბათ უფრო არსებითი) — არ ეთმობა ის შემოსავალი, რომელსაც საანბანე წიგნი აძლევს მის ავტორს... ამ მეორე „პრინციპს“ იაკობი „**სახსრის ტრფიალსა და კუჭის პრინციპს**“ უწოდებს...

ცილისწამებათა სერია, არაობიექტური შეფასება სწორედ ამ პრინციპს ემყარება უმთავრესად... და კიდევ **მესამე**: იაკობი დაუნდობელი პოლემისტია: ქართველ კაცს არ უყვარს დამარცხება — არ შესწევს ყველას ძალა, აღიაროს სხვისი უპირატესობა და იწყებოდა ახალ-ახალი შემოტევანი...

ერთი წერილი აქვს იაკობს საინტერესო სათაურით: „უმეც-რების ამაყობა“ (1881 წ.) ასევე საინტერესო დასაწყისით: „დე-და-ენას ისევ ესროლეს კენჭები“... დიახ, ეს კენჭებია, ნაკლებად საშიში და ნაკლები ზიანის მომტანი!.. „დედაენას“ ვერაფერი და-აკლესო, მაგრამ „ბუნების კარი“ ორჯერ ააკრძალვინეს სემინარი-ის ხელმძღვანელობასო...

ერთ-ერთი ოპონენტის საპასუხო წერილში წერდა იაკობი: „მარტო უმეცრება არ არის აյ დამნაშავეო; ზოგიერთ მკილავს „დედა-ენამ“ ცუდი საქმე უყოო, რამდენიმე მათგანვე შედგენილი ანბანი დაალპო სტამბაში და იმიტომ გამოილაშქრეს ისე ბრიყვულად „დედა-ენაზედო“.

არც პირად შეურაცხყოფას ერიდებიან — **გოგებაშვილის** ნა-ცვლად **მოგებაშვილს** წერენ „ოპონენტები“... იაკობი იძულებულია, უსიამოვნო მისია შეასრულოს და ანგარიში წარუდგინოს მკითხველს, როგორია მისი შემოსავლები და როგორ ხარჯავს მას... მერე იგონებდა ფილიპე გოგიჩაიშვილი: „თავისი შემოსავლის, სულ ცოტა, ნახევარს, ი. გოგებაშვილი საქველმოქმედო საქმეებზე ხარჯავდა. უმთავრესად მოსწავლე ახალგაზრდობას აძლევდა შემწეობადო“ და ა. შ.

უკიუინებდნენ ოპონენტები: „ხმა ვერ ამოგვილია გოგებაშვილის მიერ შედგენილი წიგნების შესახებ, მაშინვე იაკობი ქვა-გუნდასა და ცეკველს დაგვაყრისო“, სხვას არ გაახარებს, სხვა სახელმძღვანელოს არ გააჭაჭანებსო...

არადა იაკობი წერდა: „**შეადგინონ ჩემ სახელმძღვანელოზე უკეთესი შინაარსიანი სახელმძღვანელოები და მაშინ სიამოვნებით გზას დავულოცავო**“... არ იყო ეს ლიტონი სიტყვები. ცნობილია, როცა გაიგო იაკობმა, გიორგი იოსელიანმა შეადგინა „სალმრთო ისტორიაო“, თავისი წიგნის (უკვე დასრულებული „სალმრთო ისტორიის“) გამოცემას აღარ ცდილა; ასე იყო მათემატიკის სახელმძღვანელოს შემთხვევაშიც...


„დედაენა“ კი არავის დააჩაგვრინა — მასზე უკეთესი ვერავინ შეადგინა!.. თურმე ამბობდა: „ვიდრე მე ცოცხალი ვარ, ნებას არ მივცემ, რომ უნიჭოდ შედგენილი და უხეირო სახელმძღვანელოებით დაამახინჯონ ქართველი ბავშიო“...

და ამ ხანგრძლივ და დაუნდობელ ბრძოლაში იმარჯვებდა იაკობი. წერს ერთგან — „ისეთი მოკავშირის წყალობით, როგორიცაა სიმართლე, ერთხელაც არ დავმარცხებულვარო“... ასეც იყო!..

და გადარჩა „დედაენა“... და დაუტოვა შთამომავლობას განძად და საპატრონოდ...

მერე? მერე, როგორც ვთქვით, **1925** წლიდან **იაკობ გოგებაშვილის**, „დედაენას“ ჩანაცვლა „გოგებაშვილის მიხედვით“ შედგენილი „დედაენები“!.. ამით **იაკობ გოგებაშვილი**, როგორც ავტორი „დედაენისა“, იგნორირებულია: ნახეთ განათლების სამინისტროს სასკოლო სახელმძღვანელოთა წესება; იქ ი. გოგებაშვილის ხსენებაც არაა, ავტორებად მოიხსენებიან ისინი, ვინც „იაკობის მიხედვით“ შეადგინეს „დედაენა“...

არსებითად არ ექცევა ყურადღება იმას, თუ როგორ ირღვევა ი. გოგებაშვილისეული მეთოდი, ილახება მისი ძირითადი პრინციპები... ამის თაობაზე ბევრი თქმულა. ი. გოგებაშვილის საზოგადოებამ 2008 წლის 7 ოქტომბერს ჩაატარა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია (თემა: **იაკობის „დედაენა“ და თანამედროვე ქართული სკოლა**). ამ კონფერენციის მასალების გაცნობა საგანგაშორეალობის წინაშე დაგვაყენებს: საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდი განიცდის ყოვლად წარ-



მოუდგენელ ხელყოფას; მითვისებული „დედაენების“ „ავტორები“ ცვლიან რაც უნდათ, როგორც სურთ... არ აქცევენ ყურადღებას, ამით იაკობის პრინციპები ირლვევა თუ არა... „მიხედვით“ შედგენილ სახელმძღვანელოებში შეტანილი ცვლილებები ჩვეულებრივ თვითმიზნურია — როგორც ჩანს, „ავტორობა“ რომ გაამართლოს, ასეთი ცვლილებებია საჭირო... „ავტორები“ და გამომცემლობები დაუნდობლად ეპყრობიან იაკობ გოგებაშვილის საკუთრებას... ისევ ამოქმედდა ის „პრინციპები“, იაკობი რომ საუბრობდა — „სახსრის ტრიუალი და კუჭის პრინციპი“...

სწორედ ამისგან გვინდოდა დაგვეცვა იაკობის „დედაენა“, როცა მისი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად გამოცხადების იდეა გაჩნდა... ვფიქრობდით, ეროვნული ძეგლის დაცვის ვალდებულება აქვს სახელმწიფოს და საქმე მოგვარდებოდა... ანუ: არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ ძეგლს სახელმწიფო დაიცავდა!.. მექანიზმიც მოიძებნა: ერთი მხრივ, განათლებისა და, მეორე მხრივ, კულტურის სამინისტროებთან შეთანხმებით კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში შეიქმნა საგანგებო კომისია, რომელსაც ევალებოდა, განეხილა ი. გოგებაშვილის „დედაენის“ საფუძველზე შედგენილი საანბანე სახელმძღვანელოები, დაედგინა შესაბამისობა ძეგლად აღიარებულ ი. გოგებაშვილისეულ მეთოდთან და რომელი სახელმძღვანელოც ამას დაიმსახურებდა, გადაეცა განათლების სამინისტროსათვის სკოლებში შესატანად... რამდენადაც აკმ-ის ძეგლი შეჯიბრებითობის პრინციპს არ ექვემდებარება, სააგენტოს მხოლოდ ერთი ძეგლისთვის უნდა მიეცა რეკომენდაცია... მოხდა ისე, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტომ კომისიის მუშაობა ფაქტობრივ ჩაშალა... კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული ძეგლის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფა (რაც იუნესკოს კონვენციის მოთხოვნაა) კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა: სკოლაში ისევ აღმოჩნდა „გოგებაშვილის მიხედვით“ შედგენილი „დედაენებიც“ და არა — იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“!.. ამ თემაზე

გაზეთმა „ახალმა განათლებამ“ დისკუსიაც კი გამართა „მიხედვით შედგენილ დედაქნათა“ მომხრეების ინიციატივით; იულებული ვიყავით, ამ დისკუსიაში მიგვეღო მონაწილეობა. ამ სადისკუსიო-სა-გაზეთო წერილს გადმოვტეჭდავთ იმის მაგალითად, რომ იაკობის „დედაქნის“ გადასარჩენად ბრძოლა გრძელდება...




9 - 15 ივნისი 2017

ფასი 1 ლარი 70 თაობა

## „დედაენის“ ავტორი იაკობ გოგიაშვილია!

ჩვენ ხელთა გვაქვს გაზეთ „ახალი განათლების“ პუბლიკაცია (26. X. 2017) „იაკობ გოგებაშვილის მემკვიდრეობა — მარად ახალი გამოწვევა“. სამწუხაროდ, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ იაკობ გოგებაშვილის მემკვიდრეობა ენირება კერძო ინტერესებს... პუბლიკაციაში დასმული მთავარი კითხვა ეს არის: „რა დაეწეროს იაკობ გოგებაშვილის მეთოდით შედგენილ „დედაენას“ გარეკანზე: ავტორი — იაკობ გოგებაშვილი თუ „შედგენილია იაკობ გოგებაშვილის მიხედვით“. ცხადია, განსხვავება ძალიან დიდია: პირველი ვარიანტი აღიარებს, რომ „დედაენის“ ავტორი არის იაკობ გოგებაშვილი, ხოლო მერე ვარიანტის მიხედვით, იაკობ გოგებაშვილი არ არის „დედაენის“ ავტორი... პრაქტიკულად ასეც მიაჩნიათ: დღეს სკოლაში „მიხედვით“ შედგენილი ორი „დედაენაა“; განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოთა ნუსხაში ერთი „დედაენის“ ავტორებად ნ. გორდელაძე და გ. ჩხერიმელია მითითებული, მეორის ავტორებად — ნ. და ე. მალლაკელიძეები; ი. გოგებაშვილის, როგორც ავტორის, ხსენებაც არაა სამინისტროს ოფიციალურ ნუსხაში...



მოდით, კითხვები ასე დავსვათ:  
ვინ არის იაკობ გოგებაშვილი და რა  
უფლებები აქვთ „დედაენის“ გამომ-  
ცემლებს? რას მიენიჭა არამატერია-  
ლური კულტურული მემკვიდრეობის  
ეროვნული ძეგლის სტატუსი და რო-  
გორი უნდა იყოს დამოკიდებულება ამ  
ძეგლისადმი? ვინ უნდა დაიცვას ძეგ-  
ლის ინტერესი და როგორ დავიცვათ  
ეროვნული ძეგლი ხელყოფისაგან?

ვისაუბრებთ იმის შესახებ, რაც  
არაერთგზის თქმულა და დაწერი-  
ლა; რის მიხედვითაც მიენიჭა ძეგლის  
სტატუსი „დედაენას“...

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული ძეგლის სტატუსი მიენიჭა „დედაენას“ — საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეულ მეთოდს“. როცა მეთოდზე უსაუბრობთ, უპირველესად არსებითია ის, რით ვიწყებთ ანბანის სწავლებას. პირველ გაკვეთილად „ია. აი ია“ — ესაა ქართული კულტურის ისტორიაში უდიდესი აღმოჩენა, იაკობისეული ეპოქალური მიგნება. „დედაენამდე“ (და მერეც) ქართულ სინამდვილეში ათზე მეტი საანბანე სახელმძღვანელო იყო, რომელთაც კონკურენცია ვერ გაუწიეს იაკობის ქმნილებას; სწორედ იაკობისეულმა დასაწყისმა მიანიჭა ამ მეთოდს შეუცვლელის სტატუსი. „ია. აი ია“-თი დაწყებული ნებისმიერი საანბანე წიგნი უკვე „იაკობ გოგებაშვილისაა“ და არა „მიხედვით შედგენილი“...

ძეგლად ქცეული მეთოდის ერთ-ერთი უმთავრესი ღირსება ისაა, როგორი თანმიმდევრობით ისწავლება ქართული ანბანი. იაკობი განმარტავს და ასაბუთებს, რატომ შეირჩა ასეთი თანმიმდევრობა; მაგალითად, „კ“ რატომ უსწრებს „ვ“-ს: არ შეიძლება მათი ადგილობრივი გაფართოვა (თავის ოპონენტებს უხსნის), „ჯერ იმიტომ,

# ს ი ლ ა მ ე ნ ი

(I ქლასის ხახულმდღვანელო)

იაკობ გრიგოლესვილის „ღვერა ქანს“ შიხვდვით შეადგინეს



გამომცემლობა „მერიდიანი“  
თბილისი 2017

რომ მასვე გაებუტება გენეტური მეთოდი, რადგანაც რთული ასო წინ მოექცევა უფრო მარტივსა, რომელიც პირველის ელემენტს შეადგენს (იგულისხმება გრაფიკულად — გ. გ.), მერმე იმიტომ, კ მკაფიოდ გამოთქმისათვის ბევრად ადვილია ვ-ზე და ადვილადვე უერთდება, უკავშირდება ყოველს გვარს ასოსა, კითხვის პროცესს აადვილებს“. ასეა სხვა შემთხვევაშიც — გათვლილ-გაანგარიშებულია ყველა დეტალი... როცა „მიხედვით“ შედგენილ სახელმძღვანელოში გოგებაშვილისეული თანმიმდევრობა უცვლელად მეორდება, გაუგებარია, რატომ არა ეს სახელმძღვანელო გოგებაშვილისა და არის სხვა ავტორისა, ანუ „მიხედვით შედგენილი“?

იაკობი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საანბანე სიტყვის შემდეგ მოცემული საკითხავი ტექსტის სტრუქტურას; პრინციპი ესაა: მარტივიდან რთულისაკენ, ნაცნობიდან უცნობი-საკენ. ამიტომ ჯერ თითო სიტყვაა მოცემული, მერე ფრაზები — ორსიტყვიანი, სამსიტყვიანი და ა. შ. სამწუხაროდ, „მიხედვით“ შედგენილ „დედაენებში“ ეს პრინციპიც ირლვევა, რაც ხელყოფაა ეროვნული ძეგლისა. ცვლილება ხშირად თვითმიზნურია: „ავტო-რობის“ ინტერესი ამგვარი ცვლილებისაკენ უბიძგებს მათ... მა-გალითად, ერთ-ერთ „მიხედვით დედაენაში“ მეორე გაკვეთილში სიტყვათა იაკობისეული თანმიმდევრობა (ათი. თითა. თათი. თითი) ასე გადალაგდა — თითი. თათი. თითა. ათი. არადა იაკობი გან-მარტავდა: „აქ ყოველი შემდეგი სიტყვა, გასაადვილებლად კითხვის პროცესისა, უნდა იწყებოდეს იმ მარცვლით, რომლითაც თავდება წინა სიტყვა“... ცვლილების ინტერესმა იაკობის პრინციპი დაარ-ღვია... ისევ ძეგლის ხელყოფა...

სიტყვამ მოიტანა და ცვლილების აუცილებლობაზეც ვისაუბ-რებთ ქვემოთ. ახლა ის ვთქვათ, რომ იაკობი იმასაც აქცევდა ყუ-რადღებას, საკითხავ ტექსტში რამდენჯერ მეორდება შესასწავლი ასო, რამდენჯერ — წინა გაკვეთილზე შესწავლილი ასო, რამდენ-ჯერ იმის წინაზე და ა. შ... და კიდევ: „ყოველი ახალი სიტყვა აუცილებლად უნდა იყოს გამეორებული შემდეგ გაკვეთილებში

რამდენჯერმე, რათა ღრმად ჩაებეჭდოს ბავშვს მეხსიერებაში“. ასეა დაბალანსებული მთელი საანბანე წიგნი... ესეც ძეგლადეცე-ული მეთოდის შემადგენელი ნაწილია... სამწუხაროდ, ცვლილების თვითმიზნურმა სურვილმა „მიხედვით დედაქნებში“ შეინირა ეს პრინციპიც...

სასვენი ნიშნები? დიახ, იაკობთან საანბანე ნაწილში პრინცი-პულია სასვენ ნიშანთა საკითხიც... აქაც ვცოდავთ...

„ახალ განათლებაში“ უურნალისტი კითხვას უსვამს რესპონ-დენტის: „იქნებათ თუ არა გამართლებული „დედაენის“ უცვლელი სა-სით შეტანა სკოლაში“? რესპონდენტის (ქ-ნი თ. ჯაყელის) პასუხი ერთმნიშვნელოვანია: „გოგებაშვილის „დედაენის“ უცვლელი სახით შეტანა გარკვეულ უხერხულობას რომ გამოიწვევს, ალბათ, ამაზე არავინ დავობს“... რა თქმა უნდა, ასეა. მაგრამ რა უნდა შეიცვალოს და რით, ეს უკვე პრობლემაა. ჯერ ის ვთქვათ, იაკობის პრინციპუ-ლი მოთხოვნა ის იყო, რომ „დედაენა“ „არ უნდა მოკლებოდა გაუ-კეთესტას“! თავის ანდერძში კატეგორიულად ითხოვდა წერა-კით-ხვის საზოგადოებისგან, ვისაც ანდერძით დაუტოვა საპატრონოდ „დედაენა“, აუცილებლად შეეტანათ საჭირო ცვლილება, მაგრამ „ყოველგვარი ცვლილება ჩემს სახელმძღვანელოებში და წიგნებში შეიძლება იქნეს შეტანილი იმ ცვლილებათა მხოლოდ ზედმიწევნით შესწავლის შემდეგ საზოგადოების გამგეობის ყველა წევრის მიერ, და მიღებულ იქნება დადგენილება გამგეობის ყველა წევრის სამი მეოთხედის მიერ“... ანუ, გამომცემელს ინდივიდუალური თვითნე-ბური ცვლილება ეკრძალება ი. გოგებაშვილის ნებით...

იაკობის მოთხოვნით, უპირველესად ცვლილება უნდა შეეხოს „დედაენის“ ენობრივ სახეს — ტექსტები შესაბამისობაში უნდა მოვიდეს თანამედროვე ქართული ენის ნორნებთან; ასევე, ლექ-სიკა უნდა შეიცვალოს (განიტვირთოს) იაკობისდროინდელი დია-ლექტური თუ არაქართული სიტყვებისაგან... ამგვარი ცვლილე-ბები რედაქციული ცვლილებებია და ესეც პრინციპია იაკობისა. ანუ: ანბანის სწავლების იაკობისეული მეთოდი ითვალისწინებს

სახელმძღვანელოს სისტემატურ აუცილებელ „გაუკეთესებას“... ოღონდ ეს არ უნდა იყოს ცვლილება ცვლილებისათვის. მაგალითად, ერთ-ერთ „მიხედვით დედაენაში“ მესამე გაკვეთილზე „საათის“ ნაცვლად შემოტანილია „თასი“. რატომ? გაუგებარია. იაკობის პრინციპით, ნახატსა და სიტყვას შორის უნდა იყოს ზუსტი შასაბამისობა („სურათის შემწევიბით ბავშვი ნახევარს ცოდნას სრულს ცოდნად გადაქცევს, გაურკვეველს ნარმოდგენას — გარკვეულად, არასრულს სახეს საგნისას — სრულ სახედ“). სურათს რომ ნახავს ბავშვი, ის ზუსტად უნდა მიხვდეს, რა წერია სურათის ქვეშ. აյ რა ხდება? თასის შემთხვევაში ნახატის მიხედვით ბავშვმა შეიძლება თქვას, ესაა ჯამი, სასმისი, თასი... ეს უკვე დარღვევას იაკობის პრინციპისა. სხვა მაგალითი: მეორე „მიხედვით დედაენაში“ „მაშა“ შეიცვალა „შეშით“. რატომ? ბავშვმა არ იცის მაშა რა არისო. არადა, სადაც შეშაა, იქ მაშაც არის; ერთი თუ იცის, მეორეც ეცოდინება... ესაა სწორედ ცვლილება ცვლილებისათვის, რაც პრინციპულად ენინაალმდეგება ი. გოგებაშვილის მეთოდს; ეს არაა გაუმჯობესება, ეს ხელყოფაა ძეგლისა... ესეც ვთქვათ: ერთ-ერთ „მიხედვით დედაენაში“ ოცამდე საანბანე სიტყვაა შეცვლილი „ავტორობისათვის“...

იაკობთან ბოლო შვიდ გაკვეთილზე საანბანე სიტყვის ნაცვლად ფრაზებია ნარმოდგენილი (ორი ორსიტყვიანი და ხუთი სამსიტყვანი), იმიტომ რომ, იაკობს მიაჩნდა: „ხალისსაც ძლიერ უმატებს გაკვეთილს ეს ფრაზა... ადამიანს ახალისებს არა განმარტოებული საგნები, არამედ მათი კავშირი... ენის სიცოცხლე იწყება ფრაზებიდან და რამდენადაც ადრე გადახვალთ ფრაზებზე, იმდენად უფრო უკეთესია.“ ერთ-ერთ „მიხედვით დედაენაში“ ფრაზები მოხსნეს... აი, ამგვარი ცვლილებაა შეუსაბამო ძეგლთან, ანუ იაკობისეულ პრინციპთან...

ცვლილება უნდა ემსახურებოდეს „დედაენის“ განწმენდას შეცდომებისაგან, რადგან „სახელმძღვანელო უნდა იყოს უშეცდომო;“ უმნიშვნელო შეცდომა საანბანე სახელმძღვანელოსთვის

არ არსებობს; „ისე საჭირო არასდროს არ არის ამ კანონის დაცვა, როგორც სწავლის დასაწყისში“ (ჩვენ მიერ მოყვანილი ყველა ციტატა ი. გოგებაშვილისაა). ერთი მარტივი მაგალითი სერიოზული ენობრივი შეცდომისა: იაკობისეულ ტექსტშია — „იას ყვავილი ასხია“; „მიხედვით დედაენაში“ აქ ერთყვავილიანი ია დახატეს... ეს სერიოზული გადახვევაა იაკობისეული მეთოდიდან...

ასე რომ, ცვლილების შეტანა „დედაენაში“ აუცილებელია, მაგრამ არა ასეთი ცვლილებებისა... ამ ტიპის უზუსტობებზე ხანგრძლივი საუბარი შეიძლება; ეს ვიქმაროთ დღეისათვის...

ჩვენი ღრმა რწმენით, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს შესაბამისმა კომისიამ „დედაენასთან“ მიმართებით თავისი ფუნქცია ვერ შეასრულა. მას საკონკურსოდ წარდგენილ სახელმძღვანელოთაგან ერთი უკეთესი უნდა შეერჩია და მისთვის უნდა მიეცა რეკომენდაცია; მას ყველა აქ ჩამოთვლილი პრინციპი (და სხვაც) უნდა გაეთვალისწინებინა და დაეცვა ეროვნული ძეგლი ხელყოფისაგან; მან იცის (ყოველ შემთხვევაში უნდა სცოდნოდა), რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი შეჯიბრობითობის პრინციპს არ ექვემდებარება; უნდა დაეცვა ეროვნული ძეგლის ინტერესი და არა კონკრეტული გამომცემლობისა თუ „ავტორებისა“... მაგრამ ასე არ მოხდა... რატომ? — ეს სხვა თემაა... ამიტომ სხვა გამოსავალი უნდა მოიძებნოს; ჩვენი აზრით:

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული ძეგლის „დედაენის“ (საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებასვილისეული მეთოდის) დაცვის, მისი სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით უნდა შეიქმნეს სახელმწიფო კომისია, რომელიც დაკომპლექტდება პროფესიონალებით და მოამზადებს იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილ „დედაენას“ სასწავლო პროცესისათვის (ანალოგისათვის გავითვალისწინოთ: „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კო-

მისია)... ასე გადავარჩენთ და შევინარჩუნებთ უნიკალურ „დედა-ენას“. მითუმეტეს, როგორც აღვნიშნეთ ზემოთ, არსებობს ასეთი საერთაშორისო გამოცდილება: ცალკეულ ქვეყნებში გაქრობის საშიშროების ქვეშ მყოფი ელემენტის დასაცავად იქმნება სპეცი-ალური კომიტეტები...

საკითხის ასე დასმა არ ნიშნავს იმას, რომ სხვას ეკრძალება ალტერნატიული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენა; არის კიდევაც სკოლაში ასეთი სახელმძღვანელო (ჯგუფის ხელმძღვანელი ვ. როდონაია), რომელიც პირველ გაკვეთილზე „ა“ ასოს

„აკვარიუმითა“ და „აქლემით“ ასწავლის; ოღონდ ასეთ სახელმძღვანელოს არ უნდა ერქვას „დედაენა“, რადგან „დედაენა“ იაკობის საავტორო სახელია (კომპოზიტიც მისი შექმნილია საგანგებოდ სახელმძღვანელოსათვის)...

ერთი რამის გათვალისწინებაც გვმართებს: 2016 წლიდან „ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა“ ნომინირებულია იუნესკოს ზოგადსაკაცობრივი კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში. ამ ნომინაციის მნიშვნელოვან ნაწილადაა მიჩნეული „დედაენა“ — ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდი! და: საერთაშორისო კონვენციების შესაბამისად, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვა ხორციელდება ორ დონეზე — ეროვნულზე და საერთაშორისოზე! კეთილი ვინებოთ და დავიცვათ არამატერიალური კულტურული მემ-



კვიდრეობის ძეგლთა მიმართ იუნესკოს კონვენციები, და ამით დავიცვათ „დედაენა“!..

მაგრამ სანამ სახელმწიფო ყოველივე ამის ორგანიზებას შეძლებს, ასე ვთქვათ:

„დედაენა“ – პირველი კლასის საანბანე სახელმძღვანელო – თუ იწყება „აი ია“-თი და შემდგომ გრძელდება გოგებაშვილისებურად, ამგვარი სახელმძღვანელოს ავტორი არის იაკობ გოგებაშვილი! არავითარი „გოგებაშვილის მიხედვით“!..

ცალკე თემაა ანბანის შემდგომი საკითხავი ნაწილი „დედაენისა“; მისი შედგენისას (განახლებისას) არსებითია **არ დაირღვეს** იაკობისეული ორი მთავარი პრინციპი: **ეროვნულობა და ზნეობრიობა!**...

გიორგი გოგოლაშვილი

იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების თანათავმჯდომარე

## დანართი

### ღვაცლი იაკობ გოგეპაშვილისა (პირითაღი თაზისები)

1. იაკობ გოგეპაშვილი (1840-1912) გამორჩეული პიროვნებაა XIX საუკუნის უდიდეს ქართველ მოღვაწეთა დასმი. იგი იყო ღირსეული თანამედროვე დიმიტრი ყიფიანისა და ილია ჭავჭავაძისა; უპირველესი ფიგურა — ქართული ეროვნული განათლების სისტემის შექმნისა და განვითარების საქმეში; სანიმუშო პიროვნება — საზოგადოებრივი თუ პიროვნული ცხოვრების თვალსაზრისით, სამაგალითო — თავისი ადამიანური ღირსებებით.

იაკობ გოგეპაშვილი დაიბადა და აღიზარდა მართლმადიდებელი მღვდლის ოჯახში; მისი ცხოვრების გზა — ეს იყო თავდადებული შრომისა და შეუპოვარი ბრძოლის გზა, ეს იყო ერისა და ქვეყნისათვის თავშეწირული მოღვაწის მოწამეობრივი გზა. მთელი ეს გზა — წინააღმდეგობათა, დაპირისპირებისა და ბრძოლის გრძელი გზა. იაკობის ადგილზე სხვას შეიძლება ან დასახული მიზნისათვის ელალატა, ანდა პოზიცია შეეცვალა. იაკობი ვერ გატეხა წინააღმდეგობებმა და სიცოცხლის ბოლომდე ერთგული დარჩა დასახული მიზნისა და არჩეული გზისა — ქვეყნისა და ერის ღირსეული მსახურებისა...



2. იაკობ გოგებაშვილი გამორჩეული იყო, როგორც პიროვნება. იაკობი ასკეტურად ცხოვრობდა. იგონებენ, რომ იაკობი საოცრად მოწესრიგებული პიროვნება იყო. საარაკო იყო მისი გულწრფელობა და ჭეშმარიტების სიყვარული. ჭეშმარიტებისათვის ბრძოლაში იყო იყო უკომპრომისო, დაუნდობელი, პირდაპირი, შეუდრეველი, ურყევი და ბოლომდე შეუბოვარი. უფალი იაკობთანაა და მისი შემწეობით იგერიებს იაკობი მოჯარებულ მტერს... იაკობი იბრძოდა მაშინ, როცა ამას მოითხოვდა ეროვნული ინტერესი და იმარჯვებდა კიდეც; იტყოდა ხოლმე, „ისეთი მოკავშირის წყალობით, როგორიცაა სიმართლე, ერთხელაც არ დავმარცხებულვარო“...

იაკობისთვის უცხო იყო პიროვნული ამბიცია, თავისი საქმიანობით თავმოწონება. **თავმდაბლობა** მისი უმთავრესი პიროვნული ღირსება იყო. იაკობ გოგებაშვილი იყო **დიდი ქველმოქმედი**; იაკობისთვის უცხო იყო ანგარება, პირადი განცდიდება-გამდიდრებაზე ფიქრი, „სახსრის ტრფიალი“ და „კუჭის პრინციპი“ (იაკობის სიტყვებია).

3. იაკობ გოგებაშვილს სწამდა: „**საზოგადო ასპარეზზე მომქმედი ადამიანი მხოლოდ მაშინ ეწევა გულის წადილს და იმარჯვებს**, როდესაც მას გამორკეული აქვს გზა ცხოვრებისა და შემუშავებული აქვს გეგმა და პროგრამა მოქმედებისა, ერთი სიტყვით, აღჭურვილი არის ნათელი, განსაზღვრულის მიმართულებით და ამასთან მხნედ ახორციელებს ამ თავისს მიმართულებას, პროგრამასა“... და იაკობი მთელი შეგნებული ცხოვრება ქმნიდა, ამუშავებდა და ახორციელებდა ამგვარ პროგრამას არა მარტო პიროვნულად თავისთვის, არამედ მთელი ერისათვის... მიაჩნდა, რომ „**მით უფრო საჭიროა ამისთანა განსაზღვრული, ნათელი მიმართულება მთელის ერისათვის, მეტადრე იმისთანა ერისათვის, რომელსაც ბრძოლა არსებობისათვის მეტად გასძნელებია საზოგადო უკულმართთა გარემოებათა წყალობით**“

4. იაკობ გოგებაშვილის აზრით, ქვეყნის გადარჩენისათვის აუცილებელი პრინციპია, „**გაფურჩქნეთ, გააძლიერეთ და ააყვა-**

ვეთ ყველა თქვენი ეროვნული, ანუ ნაციონალური ძალით“. იაკობის აზრით, ჩვენს ეროვნულობას **თხი ბურჯი** („ნაციონალური ძალა“) აქვს: **მამული, ენა, სარწმუნოება და ეროვნული სკოლა.**

იაკობ გოგებაშვილის უდიდესი ღვაწლი ისაა, რომ მან ქართველობას გაუცნობიერა არსი და მნიშვნელობა ამ ოთხი ეროვნული ბურჯისა და პირადი მაგალითი უჩვენა მათი უანგარო, თავ-დადებული მსახურებისა.

5. რა არის სამშობლო, მამული და როგორ უნდა ვემსახუროთ მას? — ეს უმთავრესი კითხვა იყო, რომელიც დასვა იაკობმა და უპასუხა კიდეც თეორიულადაც და პრაქტიკულადაც.

6. განსაკუთრებული ყურადღება გვინდა მივაპყროთ იაკობის შეხედულებებს ქართული ეკლესიის თაობაზე. თავის ნაშრომში „ქართული მიმართულება“ იაკობი ვრცლად მსჯელობს ქართული ეკლესიის დანიშნულებაზე, მის როლზე და იმ პრობლემებზე, რომელიც იდგა იმჟამად ქართული ეკლესიის წინაშე. იმ დროისათვის ამას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა.

მისი აზრით, მთავარი **ბურჯი** ერის წარმატებისა არის ეკლესია. „მან ჩვენს ერში დანერგა ძლიერი სარწმუნოებრივი გრძნობა, მოჰყინა ველი და მთანი მდიდარი ტაძრებით და მონასტრებითა, შეჰქმნა სასულიერო ლიტერატურა, შეაერთა ქართველებში ერთად მაცხოვრის და მამულის მხურვალე სიყვარული და თვით კავკასიონის მთებიც-ვი გახადა ასპარეზად სახარების ძლევა-მოსილი ქადაგებისა. თუ საქართველომ მთელის თხუთმეტის საუკუნის განმავლობაში გაუძლო აუარებელს და მძლავრს მტრებს და კავკასიაში დიდი ადგილი დააჭერინა მართლ-მადიდებელს ქრისტიანობას, ამისათვის უაღრესად უნდა ვმადლობდეთ ქართულს ეკლესიასა“.

იაკობს სწამდა, რომ ეკლესია და სკოლა არის სათავე ხალხის ზნეობისა, ეთიკისა; ხოლო თვითონ ეთიკა, სპეტაკი ზნე საძირკველია ხალხის არსებობისა, სიმტკიცისა, კეთილდღეობისა, წარმატებისა.

მიაჩნდა, რომ „სარწმუნოება გულის სფერაა, ხოლო გულზე მოქმედებს მარტო დედა-ენა, ყოველი უცხო ენა აქ, როგორც ენა მესიერებისა, უძლურია. როგორც პოეტობა არ შეიძლება უცხო ენაზე, ისე სარწმუნოებრივი გრძნობა“.

XIX საუკუნეში გმირობის ტოლფასი იყო ამის თქმა: „ყოველ-გვარი ცვლილება მხოლოდ მაშინ მოიტანს სანატრელს ნაყოფსა, როდესაც საქმე სათავეშივე გასწორდება და ქართველი ეკლესი-ის მეთაურად გახდება ღვიძლი შვილი თავისი სამწყსოსი, რომელიც მოუღებს ბოლოს გადაგვარების პოლიტიკას და ჩვენს ეკლესისას ჩა-აყენებს სახარების კალაპოტში“.

გმირობის ტოლფასი იყო იაკობის მიერ იმ საკითხის დაყენებაც (და არა მარტო დაყენება, დაუინებული მოთხოვნა ქართულ და რუსულ პრესაში!), რომ საქართველოს ყველა სასწავლებელში საღმრთო სჯული დედაენაზე უნდა ისწავლებოდეს.

განსაკუთრებულია იაკობ გოგებაშვილის დამსახურება **სამრევ-ლო სკოლებში** ქრისტიანული სწავლების დაკვიდრებაში: „დედაენას“ დაურთო საღვთისმეტყველო ნაწილი; იაკობმა შეადგინა „საღმრთო ისტორია“. იგი არის ავტორი „სასულიერო სწავლანისა“ (სწავლება წმინდა სამებაზე, ანგელოზებზე და უფლის 10 მცნებაზე). დიდად მნიშვნელოვანია ი. გოგებაშვილის ნაშრომები „ქართველთა მოქცევა ქრისტიანობაზე“ და „წმინდა ნინო — ჩვენი განმანათლებელი“...

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს იაკობ გოგებაშვილის დამოკიდებულება უდიდესი პიროვნების — ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძისადმი. იაკობი იყო სულიერი შვილი გაბრიელ ეპისკოპოსისა. მათი ურთიერთობა სემინარიდან დაიწყო (გაბრიელი მასწავლებელი იყო იაკობისა) და გაგრძელდა გაბრიელ ეპისკოპოსის სიცოცხლის ბოლომდე. იაკობი ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას მისგან იღებს რჩევასა და კურთხევას; გაბრიელ ეპისკოპოსი იცავს იაკობს გარეშე თუ შინაური მტრების შემოტევებისაგან; მაგალითად, ცნობილია, რომ იგი არაერთხელ დაუპირისპირდა ეგზარხოსს იაკობის გამო...

7. იაკობ გოგებაშვილის დიდი დამსახურებაა ისიც, რომ ქართული ეროვნული სკოლა ქართველობის, ქართული ეროვნულობის უმთავრეს ბურჯად გამოცხადდა.

როცა პედაგოგიკაში იაკობ გოგებაშვილის ღვაწლზე ვსაუბრობთ, უპირველესად მისი „დედაენა“ უნდა ვახსენოთ. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქართულ სინამდვილეში „დედაენის“ მსგავსი სახელმძღვანელო არ შექმნილა.

1876 წლიდან იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ იქცა ერთადერთ და შეუცვლელ საანბანე სახელმძღვანელოდ. რა სძენდა ძალას „დედაენას“? უპირველესად ეს იყო პირველი გაკვეთილი — ია, აი ია. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, ეს არის ქართულ სინამდვილეში ყველაზე დიდი მიგნება, ეპოქალური აღმოჩენა; ღვთისგან ბოძებული აზრი ავტორისა.

„დედაენის“ ღირსებაზე მეტყველებს ისიც, რომ 1960 წელს ვენესუელაში, ქალაქ კარაკასში, გამართულ მსოფლიოს ენათა საანბანე სახელმძღვანელოების გამოფენა-კონკურსზე იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ პრინციპებით შედგენილმა სახელმძღვანელომ გაიმარჯვა; 1976 წელს ამ წიგნს ქართველმა ხალხმა 100 წლის იუბილე გადაუხადა;

1981 წელს — ძეგლი დაუდგა; ხოლო 2014 წელს მიენიჭა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული ძეგლის სტატუსი.

8. ქართული პედაგოგიკის ისტორიაში ფასდაუდებელია იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოს — „ბუნების კარის“ — როლი. ასევე უდიდესი როლი შეასრულა ეროვნული



სკოლის განვითარებაში მისმა სახელმძღვანელომ „რუსსკოე სლო-ვო“ და დამსმარე სახელმძღვანელოებმა — „კოკორი“, „კუნცულა“, „ხომლი“, „აკიდო“, „კონა“ თუ მხატვრულმა ნაწარმოებებმა.

9. იაკობის აზრით, ერთ-ერთი მთავარი ბურჯი ერის აღორძინებისათვის გახლავთ სამშობლო ენა; „**ერის განვითარება პირდა-პირ დამკვიდებულია ენის განვითარებაზე**“.

იაკობ გოგებაშვილმა თავისი სახელმძღვანელოების წყალობით პრაქტიკულად შეძლო სრულიად საქართველოს მასშტაბით ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრება. იაკობ გოგებაშვილის „დედაენამ“ ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებაში, განვითარებასა და დამკვიდრებაში ისე-თივე როლი შეასრულა, როგორიც ბიბლიურ წიგნთა თარგმანებმა ძველი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

XIX საუკუნეში არსებულმა იმპერიულმა ეროვნულმა პოლიტიკურმა ერთიან სალიტერატურო ენას საფრთხე შეუქმნა. რუსულმა იმპერიამ დაიწყო ინსპირირება მეგრულ და სვანურ ენებზე სკოლების გამართვის აუცილებლობისა. ეს მცდელობა მიმართული იყო უპირველესად ქართველთა ეროვნული დაშლისა და დაქუცმაცებისაკენ. იაკობ გოგებაშვილი აქაც, როგორც ყოველთვის, თავის სიმაღლეზე აღმოჩნდა.

10. იაკობ გოგებაშვილი არის ავტორი და ერთ-ერთი სულის-ჩამდგმელი იდეისა — დაარსებულიყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება;

იაკობ გოგებაშვილი იყო ინიციატორი ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეკრებისა; იგი იყო ერთ-ერთი ინიციატორი და ორგანიზატორი ქართული ხალხური სიმღერების შეკრებისა და ნოტებზე გადაღებისა.

11. როგორც ითქვა, ეროვნული საქმისათვის ბრძოლაში იაკობ გოგებაშვილი უპირველესი თანამებრძოლია წმინდა ილია მართლი-სა; მისი იდეების გამტარებელი და ხორცშემსხმელი.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნისათვის უმ-  
შიმესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობის უამს საქარ-  
თველოს ღმერთმა წმინდა ილია მართალი და იაკობ გოგებაშვილი  
მოუვლინა შემწედ და მფარველად.


\* \* \*

იაკობ გოგებაშვილის ღვაწლის, ცხოვრების გზისა და პი-  
როვნული თვისებების გათვალისწინებით იაკობ გოგებაშვილის  
**საზოგადოებამ 2010 წელს** მიმართა უწმინდესსა და უნეტარესს,  
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბი-  
ლისის მთავარეპისკოპოსს და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის  
მიტროპოლიტს **ილია II-ს** და საქართველოს მართლმადიდებელი  
ეკლესიის საპატრიარქოსთან არსებულ წმინდანად კანონიზების  
კომისიას, რათა უწმინდესი სინოდის წინაშე დაესვათ იაკობ გოგე-  
ბაშვილის წმინდანად კანონიზების საკითხი. იმედს ვიტოვებთ, ეს  
საკითხი განხილული იქნება უწმინდესი სინოდის მიერ.

## ცხოვრების გზა იაკოპ გოგებაშვილისა

### ძირითადი თარიღები

დაიბადა 1840 წლის 15 ოქტომბერს სოფელ ვარიანში (ახ. სტ. 27 ოქტომბერს).



— ანდრია, ზაქარია, ალექსანდრე, მარიამი და ეფემია.

1848 წელს უფროს ძმას ივანეს სასწავლებლად მიჰყავს გორის სასულიერო სასწავლებელში.

1849 წელს გადაიყვანეს თბილისის სასულიერო სასწავლებელში.

1855 წლის ივნისში პირველ მოწაფედ ამთავრებს თბილისის სასულიერო სასწავლებელს; სექტემბერში შეჰყავთ თბილისის სასულიერო სემინარიაში.

1861 წლის ივლისში პირველი თანრიგით ამთავრებს სემინარიას და სახელმწიფო ხარჯზე იგზავნება კიევის სასულიერო აკადემიაში. „სუსტი აგებულების გამო“ ექიმები არ ურჩევენ რუსეთში წასვლას. იაკობი: „მე ძალიან მწყუროდა მაღალი განათლება და წასვლის სურვილი განვაცხადე“...

ივლისში ქუთაისში ჩადის და თავისი მოძღვრისგან — ეპისკოპოს გაპრიელისაგან (ქიქოძე) იღებს კურთხევას. გადაწყდა სასწავლებლად წასვლა.

მამა — სიმონ გოგებაშვილი, ვარიანის ღვთისმშობლის ეკლესიის მღვდელი;

დედა — მაგდანა კალმახელიძე;

უფროსი ძმები — ივანე და დიმიტრი;  
უმცროსი და-ძმები


აგვისტოში ჩავიდა კიევში; „მისალები გამოცდები თავმოწაფედ დაიჭირა“ და სტუდენტი გახდა.

1863 წელს ჯანმრთელობის გაუარესების გამო იძულებულია დაბრუნდეს საქართველოში. მიუხედავად კიევის სასულიერო აკადემიის შუამდგომლობისა, სამსახურს ვერ იწყებს. რამდენიმე იმდეგაცრუება...

1864 წელი: 15 იანვარი — ინიშნება თბილისის სასულიერო სასწავლებლის მეორე კლასის მეორე მასწავლებლად; იანვრის ბოლოს — მეოთხე კლასის მეორე მასწავლებლად; 16 თებერვალს — შეთავსებით „სახელმწიფო ხარჯზე მყოფი უსულგულო მოწაფეების სამეთვალყურეო ოთახის ზედამხედველად“; სექტემბერში ინიშნება სემინარიის ზედამხედველის თანამდებობის აღმსრულებლად...

1865 წელს გამოსცემს სახელმძღვანელოს: „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“.

1866 წელს ინიშნება სემინარიის ბიბლიოთეკარად.



1868 წელს ირჩევენ სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად. გამოსცემს წიგნს „ბუნების კარი“.

1872 წელს პეტერბურგიდან ჩამოსული კომისია იკვლევს სემინარიის საქმიანობას და მისი წარდგინებით კარგი მუშაობისთვის იაკობს — სემინარიის ზედამხედველს — აჯილდოებენ... თუმცა ამავე დროს სასულიერო სასწავლებლში აკრძალეს „ბუნების კარი“...

1873 წლის ოქტომბერში პეტერბურგელი რევიზორი

კერსკი ამონმებს სასწავლებელს (იაკობი ავადაა ამ დროს); უარყოფითად აფასებს სემინარიის მუშაობას, „იაკობს სწამებს ათეისტობას, სეპარატიზმსა და რუსოფობიას“. ავადმყოფობა გრძელდება. იაკობი საავადმყოფოში მოხვდა. ნოემბერ-დეკემბერში იგი შეიყვანეს „საზოგადოებრივი სამსახურისთვის არასაიმედოთა სიაში“ და **სამსახურიდან დაითხოვეს.**

1974 წელს, 6. ცხვედაძის ცნობით, დაწვა განათლების მოწმობანი, ნამსახურის სია, რომ „შემდეგ როდესმე არ გალვიძებოდა სურვილი სახელმწიფო სამსახურში შესვლისა და ხელი არ შეშლოდა ქვეყნის სამსახურში“. სასულიერო სასწავლებელში ისევ აიკრძალა „ბუნების კარის“ გამოყენება. გამოდის იაკობის მიერ შედგენილი „**საყმანვილო კონა პირველდაწყებითი მოთხოვებისა ბუნების მეცნიერებიდგან**“ (II გამოცემიდან — 1884 წ. — „კონა“).

1875 წელს სოხუმშია; მკურნალობს და მუშაობს „დედაენაზე“; შემდეგ ბრუნდება ვარიანში და ამთავრებს „დედაენას“.

1876 წელს გამოდის „**დედაენა ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი სახალხო შეკლებისათვის**“. იაკობი არის ერთ-ერთი ავტორი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაარსების იდეისა. მუშავდება საზოგადოების წესდება. „იაკობის წინადა-



დებითა და დაუინებითი მოთხოვნით შეაქვთ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მუხლი — სკოლებში სწავლების დედაენაზე წარმოების შესახებ“.

1878 წელს აარსებს საბავშვო წიგნების სერიას „**პატარა ბიბლიოთეკა**“. იაკობის თაოსნობითა და უშუალო მონაწილეობით

წიგნად გამოდის „სამშობლო ხმები“. ყმაწვილებისათვის სამღერავი სახალხო სიმღერები გარდალებული ნოტებზედ ერთ-სამ და ოთხ ხმათათვის. შედგენილი მ. მაჭავარიანისა“.

